შაბათი 1919 წ. მარტის 22 № 64
ფელიეტონი მეხუთე

შაბათი 1919 წ. მარტის 22 № 64
ფასი თბილისში, პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს **ავტორის** ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. **დაუბეჭდავი** საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია**ა** დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. **განცხადების ფასი** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. **სამგლოვიარო განცხადება** თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გაპოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღია**ა** დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

ბოსე ანთიმოზის ძე კალანდარიშვილი, სოლომონ კაკაბის ძე ქობულაძე, სოფიო დავითის ასული კალანდარიშვილისა და ნინო პეტრეს ასული ქობულაძისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სოფ. მაკვანეთში 14 მარტს გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა და დედამთილი

ეკატერინე (ეკა) ოსიუმას ასული

ჟღენტის ქალი

პანაშვიდი დანიშნულია გარდაცვალებიდგან მე-9 დღეს 23 მარტს, კვირას 1 საათზედ ქვაშვეთის ეკლესიაში. 1—2236—1

ნიკოლოზ და არჩილ ვასილის ძენი მაჩაბლები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის თავზე გარდაცვალებისა მათ ბიძას

გიორგი დიმიტრის ძე ვეზიროვის

და ძალუას **ელისაბედ დიმიტრის ასული ფალავანდიშვილისა** მისი შვილებით **არჩილ** და **ნინათი**

გადახდილ იქნება პანაშვიდი წმ. გიორგის ქვაშვეთის ეკლესიაში კვირას, 23 მარტს 12 საათზედ. 1—2237—1

ქართული კლუბი

მარტის 22-ს, 1919 წელს, დრამატიული საზოგადოების სტუდიის

სალამო

ის ყველა დარბაზებში. საღამოს მონაწილენი არიან მხოლოდ სტუდიის მსახიობნი.

ორი პიესა
ედის წერა
ალატი

(თეთრი ვახშამი) პიესა 1 მოქმ. ე. როსტანისა. რეჟისორი გ. ჯაბადარი.
ტრაგედია 1 მოქმ. ალ. ყანჩელისა. რეჟისორი ავტორი.
პიესა 5 მოქმ. **„საქმის ხალხისათვის"** ავტორები: ალ. ი. სუმბათაშვილი, შალვა ამირეჯიბი, შალვა ძე. რეჟისორები ავტორები. პიესისათვის დაწერილია სპეციალი დეკორები, შეკერილია სპეციალი კოსტიუმები. პიესა მოწონებულია სტუდიის სამხატვრო საბჭოს მიერ.

სატვრის ოტელიეში ნიჭთა შეჯიბრება. ალ. ყანჩელი.

პოლიტიკური შარეები ჰუმორი. ცნობილნი პოლიტიკურნი მოღვაწენი. სანთქმული ტრანსფარმატორი. მოსიარულე ყვავილები და სოკოები.
გზეთი ყოველ საათში ახალი ცნობებით და სურათებით. რედაქტორი ჯაფარიძე. სიმღერა, დეკლამაცია, ცეკვა. ცეცხლის მქრობელი რაცნობილი ბრანდმეისტერის ხელმძღვანელობით. მრავალი სიურპრიზები. ტრი თავის სტუპელით. Maitre d'hotel დავით კოპალი.

დიასახლისი **ანნა ქავთარაძე**

აუქციონი არ იქნება.
დასაწყისი საღ. 8 საათზე. დასასრული დილის 4 საათზე.
მაგიდების დაკვეთა შეიძლება კლუბის კასაში. 3—37—3

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 22 მარტს, წარმოდგენილი იქნება

ოტელო

23 მარტს დილით **„სნეგურაჩკა"**, საღამოთი **„მინიონი"**.

შემოსავლით იყიდება

ბატურა, საწერი მაგიდა, ბიურო საქმეებისთვის, რგვალი მაგიდა, სარკე, ...ოთა საწყობი, გადასაღები პრესსი და სხვა. ნახვა შეიძლება დილის 10 ს. და საღ. 4--6 ს გოლოვინის პროსპექტი № 18. ბინა ხოჯამიროვისა (პარასკევს და კვირას).

2—2234—2

რესტორანი **პარიზი** **რესტორანი**

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

სრულიად ახლა გადაკეთებული

ცალკე მოწყობილ დარგაზებით

გაიხსნა 14 მარტიდან

ადება ყოველ დღე საგანგებო: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიზ კერძებით.

ცხოვრო საქმელები საქართველოს ყველა კუთხისა და **ევროპიული**

საგანგებო ყავა-ხანა

♦♦♦ ფასები ზომიერია ♦♦♦

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფასდაკლებით.
(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

სახმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25—32—5 **პატივისცემით: ხ. გიგიბერია და ვარ. გვათუა.**

მედიცინის დოქტორი

ა. ბ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43.

60—2171—12

სომხეთ-საქართველოს ხელშეკრულება

სომეხ-ქართველთა დაახლოვების გამო ერთი თვის წინად ატეხილი საზეიმო განგაში დასრულდა ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო სომხეთ-საქართველოს შორის.

ხელოვნურად ანთებული ცეცხლი ჩაქრა და ხელში შეგვრჩა ტრფობის ჩონჩხი—უსულო ხელშეკრულება უსულო დიპლომატიისა.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა მუდმივ იმის ცდაში იყო, რომ სომხურ-ქართული დავა გადაწყვეტილიყო კონფერენციით და არბიტრაჟით. სომხეთ-საქართველოს ომის დასრულების შემდეგ, იანვრის კონფერენციაზე ჩვენი დიპლომატები გამარჯვებულის კილოთი ლაპარაკობდნენ და გადაწყვეტა მთავარი სადავო საკითხებისა მიანდვეს არბიტრაჟს, რომელიც, ალბათ, პარიზში შესდგებოდა. მათ არ მოისურვეს მაშინ მკვიდრი ზავის შეკვრა და მოახდინეს მხოლოდ მორიგება. ეს გზა სწორი და სამართლიანი იყო, რადგან არავითარი ზავი არ შეიძლება იმ მეზობელთან, რომელიც გაურბის ზავის ძირითადი პირობის საზღვრების გამორკვევას.

მას აქეთ მოვიდა კერძო ცნობა შესახებ იმისა, რომ სომხები პარიზის კონფერენციაზე ხელს იღებენ ლორსა და ჯავახეთზე. მაგრამ სამაგიეროდ თხოულობდნენ ქართულ არტაან-ოლთისსა და ოსმალეთის საქართველოს. ამავე ხანებში და ამის შემდეგაც სომხებს ოდნავაც არ შეუცვლიათ თავიანთი პოლიტიკა საქართველოსადმი: მუდმივი მტრობა და ცილის წამება გაზეთებში, იარაღით თავდასხმა სოფის ოლქში და ძველებური მჭირდო კავშირი რუსებთან წინააღმდეგ საქართველოსი.

ასეთ ფსიხოლოგიურ და ფაქტიურ ატმოსფერაში გადმოვარდა კერძო ცნობა შესახებ ნუბარ-ფაშას გეგმისა. ამ ცნობამ, როგორც ცეცხლმა, უცებ გაალხვა ყინული უნდობლობისა და სანდოლივით დაადნო სოციალისტური გული ჩვენი მთავრობისა, რომელმაც დეკემბრის მუხანათობის შემდეგ თითქო დაინახა ქართველ ხალხის ნამდვილი მტერი. იგი მოლბა, მოდუნდა და მოდუნებული ხელით მან ისეთ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომელიც ნაკარნახევია გამარჯვებულ სომხეთისა.

ვნახოთ რას გვაძლევს და გვავალებს ეს ხელშეკრულება.

პირველი მუხლი შეეხება სომხეთ-საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას ურთერთის მიერ. ეს ფუჭი დეკლარაცია არავის არაფერს აძლევს, რადგან ორივეს დამოუკიდებლობა სხვაგან და სხვის ხელით უნდა გადასწყდეს.

მეორე მუხლის ძალით ჩვენ და სომხეთი ტრანზიტის უფლებას ვაძლევთ ერთმანეთს. ეს საკითხი სავსებით სომხეთის სასარგებლოდ არის გადაჭრილი, რადგან სომხეთი მრავალ ათას ვაგონს გაატარებს ჩვენს ტერიტორიაზე, ხოლო ჩვენ ერთსაც ვერ ჩამოვიტანთ ვერც ყარსიდან და ვერც ჯულფიდან. ტრანზიტის უფლება ჩვენი უძლიერესი იარაღი იყო, რომელიც ხელიდან გავუშვით. რა მივიღეთ სამაგიეროდ? არაფერი.

მესამე მუხლის ძალით უნდა მოსპობილ იქმნეს გადასვლა-გადმოსვლის ნებართვის აღება საქართველო-სომხეთის შორის. ამას ზედ ერთვის უაზრო და თვალის ასაბმელი დამატება შესახებ იმისა, რომ „გამონაკლისს შეადგენენ ლტოლვილნი, რომელთა შესახებ ორივე სახელმწიფოს სურსათის ნაკლულობის გამო შეუძლიანთ სათანადო ზომები მიიღონ." ეს მუხლიც სავსებით ცალმხრივია და გადაჭრილია მხოლოდ სომხეთის სასარგებლოდ. საქართველოს სომხეთში ლტოლვილნი არა ჰყავს, ხოლო საქართველო დღესაც სავსეა და კიდევ ივსება სომეხ ლტოლვილთაგან. გარდა ამისა, ამ ჟამად მაინც ათიოდე ქართველს ძლივს იპოვით სომხეთში წამსვლელს, ხოლო სომხეთიდან ათასობით აწვებიან საქართველოს. ბორჩალოდან იუწყებიან, რომ სადგურ სანაინს აუარებელი სომეხი მოაწყდა თბილისში მომავალი, ხოლო ჩრდილო კავკასიაში რამდენიმე ათი ათასი სომეხი ელის საქართველოში დაბრუნების ნებართვას. ჩვენმა მთავრობამ ეს ნებართვა მისცა. ეხლა მან ამის შედეგს მოუცადოს და თავის თვალით იხილოს მწარე ნაყოფი თვისი გულჩვილობისა და გულკეთილობისა. დამატება ლტოლვილთა შესახებ ფუჭად ჩაივლის, რადგან განმარტებული არ არის და თითქმის შეუძლებელია გარჩევა ლტოლვილთა და მგზავრთა შორის. ამ რიგად, სომხენს ისევ გაუღეთ ყველა კარებები, რასაც მოჰყვება მრავალი ათასი სომხის ჩამოსახლება, ცხოვრების გაძვირება, სენის გავრცელება, სამტრო აგიტაციის გაღვივება და ჩვენი სხეულის მოშლა-მოდუნება. რა მივიღეთ ასეთი მსხვერპლის სამაგიერო? ისევ არაფერი.

მეხუთე მუხლი გვავალებს დიპლომატიურ ურთიერთობის განახლებას. ამას დაეხებით თხოულობდნენ სომხები იანვრის კონფერენციაზე, მაგრამ ჩვენები მაშინ უარზედ იდგნენ. ეხლა სომხებმა თავისი გაიტანეს, მაშასადამე ეს საკითხიც წავაგეთ და სადავო საქმე დაუთმეთ. ესეც ცალმხრივად გადაიჭრა, და ისევ სომხეთის სასარგებლოდ.

მეხუთე მუხლის ძალით ჩვენ უნდა დავუბრუნოთ სომხეთს ყველა საბუთები, რომელნიც სომხეთის ტორიტორიის საქმეებს შეეხება. ამის წინააღმდეგ პრინციპიულად არა ითქმისრა, მაგრამ ფაქტიურად ჩვენის მხრივ ესეც ვალდებულება და დათმობა გახლავთ.

მეექვსე მუხლი სამარცხინო აქტია ჩვენთვის. საქართველო უბრუნებს სომხეთს იმ სამხედრო მასალას, რომელიც საქართველომ მიითვისა ომის უფლების ძალით. სამიოდე თვის წინათ სომხეთი ქურდულად თავს დაგვეცა და ას მილიონამდე ზარალი მოვვაყენა. მან მოიტაცა მრავალი ვაგონი, სურსათი, მასალა და ბორჩალოს ნახევარი. თანახმად ომის კანონებისა ჩვენ დავაპატიმრეთ სომხეთის ქონება. მას აქეთ იწყობა ჩვენი ფაქტიური დამარცხება: ჩვენი მოღალატე სომხების ქონების კონფისკაციაზე ხელი ავიღეთ, მოღალატენი გავანთავისუფლეთ, მათი ზარალის აღსადგენად ასი ათასები გადავდეთ, სომხეთს ასეთი სიმშილობის დროს 250.000 ფ. სანოვაგე ვასესხეთ და ეხლა სამხედრო მასალაც ვუბრუნებთ. რატომ არ თხოულობს ჩვენი მთავრობა ამ ზარალის ანაზღაურებას? რატომ არ თხოულობს წართმეულ მასალის დაბრუნებას? რა შია მართლა საქმე? სად იმალება გასაღები ამ საიდუმლოებისა და საარაკო დათმობისა? ეს კითხვები ყოველ ქართველს ცივი გველივით ეხლართება გულში, მაგრამ იგი პასუხს ვერ პოულობს.

დღევანდელ პირობებში ასეთი ხელშეკრულება, ვიმეორებთ, ნაკარნახევია გამარჯვებულისა და მიღებულია დამარცხებულის მიერ. იგი არ არის შედეგი შარშანდელ ომისა და დღევანდელ ნამდვილ ძალთა განწყობილებისა. ჩვენმა ჯარმა ბრძოლის ველზე გაიმარჯვა, მაგრამ შედეგის მიხედვით საქართველო სასტიკად მარცხდება. ჩვენი მეზობელი და მოპირდაპირე დღეს იმკის იმას, რაც მან დეკემბერში დასთესა.

გამოცდილი და მიუდგომელი დიპლომატი იტყოდა შესახებ უკანასკნელ ხელშეკრულობისა: მას სარჩულად უდევს ან სასტიკი დამარცხება ბრძოლის ველზე, ან საიდუმლო სამხედრო კავშირი, ან კიდევ... მაგრამ იგი შესცდებოდა. ჩვენ არა გვაქვს არც სამხედრო კავშირი სომხეთთან, არც მარცხი გვინახავს მათთან ბრძოლაში. საქართველოს აჩვევენ ზურგიდან დამარცხებას. დეკემბრის დიპლომატიურ დამარცხებას მოსდევს 3 მარტის სამარცხვინო დადგენილებანი!

მოპირდაპირე მხარე ხარობს. „კავკასლოვო" სიხარულით ცას ეწევა. ოლონდაც გაიხარებენ. მათს ნათესს ისეთი პირი უჩანს, რომ ასეთს მოსავალს ალბად თვითონაც არ მოელოდნენ.

ერთი მცირე იმედი-ღა დაგვრჩენია. ასეთი ცალმხრივი და სამარცხვინო აქტის გაპარება არ შეუძლიან მთავრობას. მისი რატიფიკაცია დამფუძნებელ კრების საქმეა. და ჩვენ მოვითხოვთ, რომ იგი განხილულ და ყოველ მხრივ გაშუქებულ იქმნეს რესპუბლიკის უმაღლეს დაწესებულებაში.

პრესა

ფედერალისტების ოპოზიცია

ფედერალისტების „მაშვრალთა" პარტიის „ახალი ნაკადი" მდინარეთ გადაიქცა და ოპოზიციის ქაფით ადუღდა. ფედერალისტებმა რევოლიუციის ორი წელი იმას მოანდომეს, რომ მენშევიკებთან ერთიანი ფრონტი შეექნათ და მხნედ შესდგომოდნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შენებას საქართველოში.

მაგრამ ფედერალისტები მალე დარწმუნდენ, რომ ლომის კერძი ამ შენების დროს (ყველამ იცის როგორ შენდებოდა და შენდება რესპუბლიკა ჩვენში) მენშევიკებს ერგოთ და ისედაც უსახური ფედერალისტური პარტია გადაშენების გზას დაადგა. სიკვდილის წინ ეხლა სცდილობენ წაგებულ პრესტიჟის აღდგენას. ფედერალისტებმა მიატოვეს სამინისტროს პორტფელები, მაშინ როცა მოაწყვეს კიდეც თავიანთი საქმეები და შეჰქმნეს ძლიერი კლიენტელა. შემდეგში მენშევიკები ვერ გაბედავენ ამ აშენებულ ციხე-სიმაგრეების აღებას, რადგან ამას მოჰყვება ფედერალისტების ოპოზიციის ცეცხლში დაწვის შიში—ამის მხრივ საქმე კარგათ გაკეთებულია, და ამის გარდა ფედერალისტებმა ბევრი რამ იციან მენშევიკების პოლიტიკის სამინისტროში ყოფნის დროს.

ესეც არ იყოს ორი წელი საკმაო იყო ფხიზელი ხალხისთვის, რომ გამოეყენებიათ და ეხლა კი, როცა საქართველოში მართლაც განიავდა ყველაფერი სიმდიდრე და დაგროვილი სხვისი თუ საკუთარი ქონება უკვე იწყება შიმშილის ორგანიზაციაზე წერა ფედერალისტების პრესაში. „სახალხო საქმის" უკანასკნელ ნომერში სამი წერილია მოთავსებული მენშევიკების წინააღმდეგ, წერილები უმთავრესათ ეხებიან სასურსათო საქმის მოწყობის და მთავრობას აბრალებენ სიმშილის ორგანიზაციას. გაზეთი აღნიშნავს, რომ მთავრობა მოკლებულია სახელმწიფოებრივ შემოქმედებას და ქვეყანას საფრთხეში აგდებს და შოყვანილია ბევრი ამის ნიშნები.

საკითხავია რატომ ამდენხანს არ ლაპარაკობდენ ამაზე ფედერალისტები? თავის დროზე ჩვენ აღვნიშნავდით, როგორი ინიციატივა და ორგანიზაციის უნარი გამოიჩინეს სომხებმა და როგორ აიცილეს თავიდან შიმშილი ევროპიელ სახელმწ. დახმარებით. მაშინ ჩვენ ვადარებდით სომხების საქმიანობას ჩვენი მთავრობის მართველი პარტიის უმოქმედობას და ეს შენიშნვა ასე თავდებოდა... მალე დადგება დრო და ახალ კომისრებს მოადგება ხალხი ნაჩვევი ძახილით: პური და სანახაობაო... მენშევიკებმა რევოლიუციის სანახაობა გაათავეს კიდეც და თავის აღსასრულს მაშინ ნახავენ, როცა პური შემოაკლდებათ.

მაშინ შიმშილზე ლაპარაკი არ იყო, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო ეხლა დაიწყო. ფედერალისტებს ჩვენ ანგარიშს არ ვუწევდით, მაგრამ მათი გვიანი ოპოზიცია, მაინც უნდა იქნას დახასიათებული.

ფედერალისტების ოპოზიცია—ერთი უმადურობაა. მენშევიკების მიმართ.

ფედერალისტები მონაწილეობას იღებდენ შიმშილის ორგანიზაციაში. და როცა ყველა რესურსები ამოიწურა—ეხლა ადვილია ოპოზიცია.

მით უმეტეს, რომ ოპოზიციას რევოლიუციის შარავანდედით უპირობენ ფედერალისტები გამართლებას.

მაგრამ სად ფედერალისტები და სად რევოლიუცია? ფედერალისტები თავიანთი რევოლიუციონური პრაქტიკით, ისე დაშორდენ რევოლიუციას (თუ როდისმე იყვნენ იმასთან) რომ უკვე მოსაწყენი გახდა მიწის სოციალიზაციის ექსპლოატაცია—და მალე მათი ნაკადიც დაშრება და დედა მდინარეც.

ახალციხის ასპარეზზე

(სამხედრო შტაბის ცნობა)

დღემ ახალციხის რაზმის ასპარეზზე მშვიდად ჩაიარა. მცხოვრებლები იარაღს გვაბარებენ. მესამე პოლკის ბატალიონის სარდლის მოხსენებით მის მზვერავებს, რომელნიც 17, 18 და 19 მარტს გაგზავნილი იყვენ ახალქალაქის მიმართულებით, სოფელ რუსთავი და საფარის მონასტრის რაიონში მაღლობებიდან სროლა აუტეხეს. ადგილობრივ მცხოვრებთა ცნობით შეიარაღებული თათრები თავმოყრილნი არიან სოფელ რუსთავში და ოშარაში.

პოლკოვნიკი გედევანიშვილი.

დამემ მშვიდად ჩაიარა. გუშინ სოფელ სტეფანწმინდაში გენერალ ართემელაძესთან გამოცხადდა ინგლისის პოლუჩიკი ბრინგანი და ყარსის გენერალ-გუბერნატორის სახელით პროტესტი განაცხადა ფოცხოვის რაიონის სოფლების ჩვენი ჯარის მიერ დაპერის გამო და სთქვა, რომ ჩვენი ჯარის შემდეგი წინსვლა ჩაითვლება ინგლისელთა წარმომადგენელთა წინააღმდეგ გამოლაშქრებათ. გუშინდელ დღიდანვე შესწყდა ფოცხოველთა იარაღის მოტანა.

გენერალ კვინიტაძე.

საქართველოს მთავრობის ახალი კაბინეთი

საქართველოს მთავრობის ახალ კაბინეთის შემადგენლობა: თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია, საგარეო საქმეთა და იუსტიციის—ევგენი გეგეჭკორი, შინაგან საქმეთა, ჯარისა და სახ. განათლებისა—ნოე რამიშვილი; ვაჭრობა-მრეწველობისა და ფინანსებისა—კონსტანტინე კანდელაკი; მიწადმოქმედებისა და გზათა მინისტრი—ნოე ხომერიკი.

96

უკანასკნელი ცნობები

შემდგომ საქართველოს მთავრობის ახალი კაბინეტი. თავმჯდომარედ იქნება ნოე ჟორდანია, მინისტრები: ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი და კონსტანტინე კანდელაკი.

20 მარტს ინგლისის პორუჩ. ბრინგანმა ყირმის გენერალ-გუბერნატორის სახელით პროტესტი განაცხადა ჩვენ მიერ ფოცხოვის ოლქლების დაჭერის გამო და ჩვენი ჯარების წინსვლა ინგლისის საინტერესოდ ეფიარა. ახლა ფოცხოველები იარაღს აღარ გვაბარებენ.

ჩხეიძე და წერეთელი პარიზს ჩასულნ. „პტი პარიზენ“-ს წარ—ს საუბრისას განუცხადეს: „საქართველო ტერიტორიალ დათმობებს არ თხოულობს, მას შესწევს ძალა თვისი საქმეები თვითონ მოაწყოს. საქართველო ითხოვს, რომ იგი დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარონ.“

ე. გეგეჭკორი მთავრობის თავმჯდ. შეადგილად

გუშინ დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე ალ. ლომთათიძემ განაცხადა, რომ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ თვისი თანამდებობის აღსრულება დროებით საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს მიენდოო.

საქართველოს დელეგაცია პარიზში

ინგლისური პრესის ცნობა.

რუსეთის რევოლიუციის ლიდერები ჩხეიძე და წერეთელი ჩამოვიდენ პარიზში, სადაც საზეო კონფერენციას განუმარტავენ საქართველოს რესპუბლიკის მოთხოვნილებებს. გაზეთ „პტი პარიზენის“ წარმომადგენელთან საუბრის დროს მათ განაცხადეს: „საქართველო არ თხოულობს ტერიტორიალურ დათმობათ. მას შესწევს ძალა თვისი საქმეები თითონვე მოაწყოს. საქართველო თხოულობს მხოლოდ მას, რომ იცნან ის დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოთ“.

ქრონიკა

სამეურნეო კურსები. მიწადმოქმედების სამინისტროსთან არსებულ სამეურნეო კურსებზე ჯერჯერობით 150 ისმენელია, მათშორის უმაღლეს განათლებითაც. მსმენელებმა შუამდგომლობა აღძრეს ხსენებული კურსები 2 წლიანი იყოს.

საზოგ. „შაქარი“-ს შუამდგომლობა. საზოგადოება „შაქარმა“ შუამდგომლობა აღძრა მიწად მოქმედების მინისტრის წინაშე, მიეცეს იჯარით ხსენებულ საზოგადოებას ბორჩალოს მაზრაში სახელმწიფო მამული „გიიურარხ“-ი, ზომით ხუთი ათასი დესეტინა. აქედან 2 ათასი დესეტინას მისცემენ გლეხებს დასამუშავებლად. მინისტრთა საბჭომ განიხილა შუამდგომლობა და დაადგინა: მიეცეს ხსენებულ საზოგადოების იჯარით 35 წლით არა უმეტეს 4 ათასი დესეტინისა. აირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ხსენებულ მამულის გადაცემის პროექტი.

უფლების მინიჭება. განათლების მინისტრის საბჭოს დადგენილებით და შემდეგ მინისტრის ბრძანებით პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებლის მასწავლებლის უფლება მიენიჭათ ნიკ. რაზიკაშვილს, ვარ. ძიძიგურს და ალ. გვახარიას.

გაზეთის გამომცემელთა კრება. 19 მარტს შესდგა გაზეთის გამომცემელთა და სტამბის პატრონთა საერთო კრება, რომელზედაც დაადგინეს შუშების ჯამაგირების მომატების საკითხი ხელახლა გაირჩეს. გამომცემელ-წარმომადგენელის თანდასწრებით.

სომხეთის სახელმწიფო კონტროლიორი. გუმბრის ქალაქის თავი ლ. სარქისიანი სომხეთის სახელმწიფო კონტროლიორად დაინიშნა.

სახელმწიფო კონტროლიორის ბრძანება

დამფუძნებელ კრებისადმი 14 მარტის სხდომაზე სახელმწიფო კონტროლის მოქმედების შესახებ 1918 წლის ივლისის 1-იდან 1919 წლის თებერვლის 1-მდე.

ფ. გოგიჩაიშვილი. ბ-ხნო საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრნო! ნება მიბოძეთ, მოვახსენო საქართველოს უხენაეს კრებას მოკლე ანგარიში იმისა, თუ როგორ მოეწყო, რა გაკეთა და ოა მდგომარეობაშია დღეს საქართველოს სახელმწიფო კონტროლი, რომელიც ჩვენი „სახელმწიფოს ძართველობის ცალკე ნაწილს შეადგენს“ და რომლის ძეთაურობა და პასუხისმგებლობა საქართველოს პარლამენტის მიერ მე მქოსდა დაკისრებული.

როდესაც მე სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის ასრულებას შეეუდეკი (წასული წლის ივლისის 1-ს), საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდენ შემდეგი საკონტროლო დაწესებულებანი: თბილისის საკონტროლო პალატა, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა კონტროლი, ქართული კორპუსის საველე კონტროლი და ყოფილ ამიერ-კავკასიის კომისარიატის სახელმწიფო კონტროლიორის კანცელარია. ყველა ამ დაწესებულებაში 360-მდე ადამიანი ირიცხებოდა.

რადგან ასეთი შემადგენლობა საკუთრივ საქართველოს კონტროლისათვის შეტად დიდი იყო და მძიმე ხარჯს ადებდა ხაზინას, ამიტომ მე პირველ რიგში დასახელებულ დაწესებულებათა შტატების შემოკლებას შევუდეკი, იმ ანგარიშით კი, რომ ლიკვიდაციის შემდეგ დატოვებულ მოხელეთ შესძლებოდათ, სამსახურის სტაჟით შეედგინათ გამოცდილ და კონტროლის დარგის მცოდნე მუშაკთა ჯგუფი.

ამასთანავე ერთად მიღებულ იქნა ზომები რესპუბლიკის ყველა იმ დაწესებულებათა რეგისტრაციისათვის, რომელნიც ვალდებულნი არიან კონტროლს ანგარიში წარმოუდგინონ, რათა შესაძლებელი გამხდარიყო თვალყურის დევნა სარეკვიზიციოდ ანგარიშების თავის დროზედ წარმოდგენისათვის. ამ გარემოების გამორკვევამ ცოტად თუ ბევრად ცხად ჰყო საქართველოს მომავალი კონტროლის საშუშოს ზომა და მასთანის შემადგენლობა, რომელიც საჭირო უნდა ყოფილიყო მის წესიერად მოქმედებისათვის.

ამის შემდეგ პირველ ჩემ საზრუნავ საქმედ მივიჩნიე გამორკვევა და შემუშავება იმ საფუძველთა და დებულებისა, რომელზედაც უნდა აგებულიყო საქართველოს სახელმწიფო კონტროლის წყობილება და სახელმწიფოებრივი საქმიანობა. ეს საქმე საშური იყო მით უფრო, რომ რუსეთის კანონმდებლობა შესახებ სახელმწიფო კონტროლისა ჩვენს პოლიტიკურ წყობილებას სრულებით არ შეეფერებოდა.

რუსეთში კონტროლი, როგორც ვიცით, მთავრობის კონტროლი იყო და არა სახელმწიფო სათათბიროსი. სათათბირო რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდა ეს კონტროლი მის ორგანოდ გადაექმნა, მაგრამ ამას სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა მთავრობა, რომლის შემადგენლობაში სახელმწიფო კონტროლიორიც შედიოდა, როგორც კაბინეტის წევრი. სახელმწიფო სათათბიროს ზედამხედველობის ქვეშ იყო მხოლოდ სახელმწიფო კონტროლის ანგარიში სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის შესრულების შესახებ, მაგრამ ეს ანგარიში არ წარმოადგენდა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის არსებითად რევიზიის შედეგს და არ აღნიშნავდა, რამდენად კანონიერი და წესიერი იყო აღმასრულებელი ძალის მოქმედება სახელმწიფო მეურნეობის მართვა გამგეობაში. ეს ანგარიში იყო არსებითად საკასო ანგარიში თანხათა ტრიალისა სახაზინო კასებში და საბალანსო თავმოყრა სახელმწიფო ბიუჯეტისა.

თავისთავად ცხადია, რომ რესპუბლიკის კონტროლს არ შეეფერებოდა ასეთი განწყობილება საკანონმდებლო ორგანოსადმი, რომელიც გადამწყვეტი მსაჯულია მისი, თუ რამდენად წესიერად ან უსწოროდ არის შესრულებული ბიუჯეტი. ექვს გარეშეა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში კონტროლი უნდა ყოფილიყო ორგანო საკანონმდებლო დაწესებულებისა და სრულიად დამოუკიდებელი მთავრობისაგან. ეს ძირითადი აზრი უკვე მიღებული იყო საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაწესების დროს და იგი მე მივიჩნიე სახელმძღვანელოდ, როდესაც კონტროლის წყობილებისა და დებულების პროექტის შემუშავებას შევუდეკი.

რუსეთის კანონი კონტროლის დებულების მხრივაც არ შეეფერებოდა ჩვენს მდგომარეობას. აუცილებლად საჭირო იყო, რომ საქართველოს სახელმწიფო კონტროლის აგებულება შეფარდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებას, მის სიდიდესა და ფინანსიურ მდგომარეობას. ამიტომ კონტროლის ცენტრალური მექანიზმი და მისი ადგილობრივი ნაწილები საქართველოს სახელმწიფო კონტროლში უნდა შედუღებულიყვნენ ერთ ერთეულში, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის საერთო სახელწოდებით. მაგრამ ისე კი, რომ კონტროლის ამგვარ გაერთიანებას, რასაკვირველია, ხელი არ უნდა შეეშალა, საჭიროების მიხედვით, პატარა საკანტროლო ნაწილების გამოყოფისთვის, რათა საკანტროლო აპარატი შეძლებისადაგვარად დაახლოებული ყოფილიყო ადგილობრივ აღმასრულებელი ძალის განმაკარგულებელ ორგანოებთან.

იგივე რუსეთის კანონი კონტროლის სამოქმედო ასპარეზის სიფართის მხრივაც არ შეეფერებოდა ჩვენს საჭიროებას, საქმე იმაშია, რომ რუსეთში კონტროლი უმთავრესად შემდგომი რევიზიის მწარმოებელი იყო და მხოლოდ სახელმწიფო მეურნეობის ზოგიერთ დარგში მასთან ერთად ასრულებდა წინასწარს და ფაქტიურ კონტროლს. მე კი, თანახმად დაწინაურებულ ქვეყნების მაგალითისა, მიზანშეწონილად ვსცანი შემედგინა პროექტი სრულის კონტროლის დაწესებისა, რომელმაც უნდა აწარმოოს როგორც შემდგომი, აგრეთვე წინასწარი და ფაქტიური რევიზია,—ყველ შემთხვევაში უფრო მსხვილ ხარჯებისათვის მაინც, როგორც, მაგალითად, სამეურნეო—საოპერაციო, დასამზადებელი, საალმშენებლო და სხვა.

ხსენებულ საფუძველზედ აგებული და ვრცლად შემუშავებული „სახელმწიფო კონტროლის დებულება“, მისი შტატები და „რევიზიის წესდება“, რომელშიაც დაწვრილებით აღნუსხული იყო მდგომარეობა, აგებულება, ხასიათი, უფლება და მოვალეობანი სახელმწიფო კონტროლისა და მისი და ანგარიშ ვალდებულ დაწესებულებათა და პირთა ურთიერთშორისო დამოკიდებულება, წარსული წლის სექტემბრის 25-ს წარვუდგინე პარლამენტს, რომლის მიერ დამტკიცებულ იქმნა მცირე ცვლილებებით დეკემბრის 6-ს და, თანახმად კანონისა, იმავე თვის 28 ძალაში შევიდა.

მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლო მე შევსოგომოდი კონტროლის ორგანიზაციას და მისი მოქმედების განხორციელებას გარკვეული კანონის საფუძვლით. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მოკლე ხნის განმავლობაში (1 თებერვლამდე) მაინც მოხერხდა დაწესებულ შტატის 2—3-მდის აყვანა მოხელეთა რაოდენობისა.

თუმცა პირველ ხანებში ძველ საკანტროლო დაწესებულებათა ლიკვიდაციის საქმესა და ხსენებულ კანონპროექტების შემუშავებაში ვიყავი გართული, მაგრამ იმავე დროს ჩემ საზრუნველი იყო კონტროლის დაწესებულებათა ფაქტიური გაერთიანება. ამ მიზნით ყველა ეს დაწესებულებანი ოქტომბრის 1-ისათვის კანონპროექტით ნავარაუდევ გეგმისამებრ შეერთებულ და მოთავსებულ იქმნენ ერთ შენობაში, რამაც გაადვილა საქმის საერთო ხელმძღვანელობა. მასთან ერთად შევიმუშავე გაერთიანებული კონტროლის მოქმედების გეგმა, რომლის ძირითადი საფუძველი იმ პროგრამაზედ იყო დამყარებული, რომელსაც გვიკარნახებდა სახელმწიფო მეურნეობის მდგომარეობა და გადამეტებული, მოუწესრიგებელი ზრდა სახელმწიფო ხარჯებისა, მასთან რაიმე საბიუჯეტო სისტემის უქონლობა. საქმის მდგომარეობის ნამდვილი სურათი რომ გადაშალოლიყო, კონტროლისათვის საჭირო შეიქმნა: 1) გამოერკვია რა კრედიტის მქონე არიან სხვადასხვა ანგარიშვალდებულნი დაწესებულებანი და პირნი, 2) ფაქტიურად გასცნობოდა ზოგიერთ უფრო მსხვილ სამეურნეო ოპერაციების წარმოებას მაინც, და 3) მიეღწია საბიუჯეტო ანგარიშწარმოების საქმის წესიერად დაყენებისათვის, სათანადო ანგარიშების აუცილებლივ კონტროლში წარმოდგენით.

ასეთი გეგმის [illegible]ნად შესრულება შეტად მძიმე იყო, როგორც ხალხის უყოლობის გამო, აგრეთვე იმიტომ, რომ ბევრი სახელმწიფო დაწესებულებანი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულან, გარდამავალი ხანის განსაკუთრებულ თვისებაზედ და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის დროებით მოთხოვნილებაზედ რომ არა ესთქვათ-რა. მიუხედავად ამისა, იმ აზრით გამსჭვალულმა, რომ ამ აღმშენებლობისათვის შესაძლო შემწეობა აღმოეჩინა, კონტროლმა ყოველივე ღონისძიება იხმარა, რათა მისი ცნობანი მთავრობას გამოეყენებინა სახელმწიფოსა და ხაზინის ინტერესებისათვის.

ჯერ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ამის შესახებ თავის დროზე მთავრობასაც მიმართა მოხსენებებით და საფინანსო კომისიაშიც აღძრა რამდენჯერმე ეს საკითხი, მრავალ გზით ცდილობდა ამ საქმის ასრულების დაჩქარება გამოეწვია და მგონია, შემძლიან ვთქვა, რომ თუ დღეს ჩვენი ბიუჯეტის შედგენის საქმე წინ წაწეულია იმ მხრივ, რომ ხარჯთ-აღრიცხვათა უმრავლესობა შედგენილია — რომელთაც, უნდა გვახსოვდეს, დიდი, ფრიად დიდი შემოკლება და შემცირება ესაჭიროებათ, — ამაში კონტროლს, მისი სასაყვედუროდ გამხდარ ულმობელობის წყალობით, ცოტათი წილი უდევს.

იყო რამდენიმე იმის მაჩვენებელი გარემოება, რომ სხვადასხვა დაწესებულებანი აღარ უწევენ ანგარიშს სახარჯ-აღრიცხვო და საკასო წესებს, რომ შემოსავალი თითქმის აღარ შედის ხაზინაში, რომ ბევრი ხარჯთ-ამკრეფნი ხარჯავენ მათ ხელში შემოსულ თანხებს თავის სამმართველოთა შესანახად და სხვადასხვა სამეურნეო საჭიროებაზედ, კონტროლის წინაშე ანგარიშ წარუდგენლად, და რომ სამეურნეო დარგში მუშაობა არაა შეფარდებულ-შეთანხმებული ხაზინის ინტერესებთან, რის გამო კონტროლმა პირველ რიგში თბილისის ხაზინის საკასო-საბუხჰალტერო ანგარიშ წარმოების ფაქტიური მიმოხილვა მოახდინა.

საანგარიშო საკრედიტო ნაწილის მიმოხილვის შემდეგ სახელმწიფო კონტროლი სხვადასხვა უფრო თვალსაჩინო სამეურნეო დარგთა ფაქტიურ შემოწმებას შეუდგა, შემდეგში განაგრძობდა და ეხლაც განაგრძობს მის შესრულებას სხვადასხვა ცალკე შემთხვევებშიაც.

პირველ რიგში ფაქტიურად შემოწმებულ იქმნენ: 1) ყოფილ სასურსათო სამინისტროს დაწესებულებანი თბილისში: 2) მოწათმოქმედების სამინისტროს დაწესებულებანი თბილისში, ბორჯომში და კახეთში; 3) მომარაგების კომიტეტის დაწესებულებანი თბილისში და ქუთაისში. შემდეგ ხდებოდა და ხდება ფაქტიური რევიზია რკ. გზისა, ცენტრალურ სასურსათო საბჭოს ოპერაციებისა. სამხედრო სამინისტროს და სახალხო გვარდიის სხვადასხვა დაწესებულებათა, აგრეთვე ცალკე სამხედრო ნაწილებისა, მათ შორის იმათაც, რომელნიც ბრძოლის ველზე იმყოფებოდნენ.

სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე დაწესებულებაში ყველაფერი წესიერად აღმოჩენილიყოს. მხოლოდ ზოგიერთ მათგანში აღმოჩენილი უწესრიგობა შეიძლება ჩვენ ვალოთ დროთა ვითარების აუცილებელ შედეგათ. მაგრამ დანარჩენებში კი კონტროლი შეხვდა ანგარიშების არეულ დარეულ, უთავბოლო მდგომარეობას, ხშირად მათ სრულ უწარმოებლობასაც, ფულისა და საქონლის უწესო ხარჯვას და აშკარა ბოროტ-მოქმედებასაც. სხვა დაწესებულებებში ფაქტიურმა რევიზიამ გამოამჟღავნა ისეთი ნაკლი და ურიგობა, რომელიც მოწმობდა ან საქმის საზარალოთ მიმართვას, ან სახელმწიფო მეურნეობის სახიფათო, უნუგეშო მდგომარეობას.

(დასასრული იქნება).

პარტიული ცხოვრება

კვირას 28 მარტს სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია სტუდენტთა საზოგადო კრება. კრების საგანია გამგეობის მოხსენება მისი მოქმედების შესახებ და ახალი გამგეობის არჩევის საკითხი. პარტიულ ამხანაგებს ვსთხოვთ დაესწრონ.

ერ. დემ. პარ. სტუდ. ბიურო.

სამხატვრო ძრონ ძა.

დღეს, შაბათს, კონსერვატორიის დარბაზში ქართ. სამუსიკო საზოგადოება აძლევს მე-4 კამერულ კონცერტს ივ. სარაჯიშვილის, ი. ფიშბერგის (სკრიპკა) და ქართ. სამუსიკო საზოგადოების კვარტეტის მონაწილეობით. პროგრამაში მ. ბალანჩივაძის და დ. არაყიშვილის რომანსებია. დასაწყისი საღამოს 7 საათზეა.

—

ჟურნალი „ხელოვნება“. თბილისში გამოვიდა რუსული სათეატრო ჟურნალი „ხელოვნება“ („Искусство“) მეორე ნომერი. ჟურნალი სუფთად არის შედგენილი და ღირს 4 მანეთი.

—

„რესპუბლიკის ჯარი“. გამოვიდა ყოველკვირეული სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“-ს მორიგი ნომერი (№ 15).

—

სტუდიის საღამო. მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს ქართულ კლუბის დარბაზებში გაიმართება დრამატიულ საზოგადოების „სტუდიის“ საღამო.

ქართული საზოგადოება უკვე იცნობს სტუდიას: იმ წარმოდგენებით, რომელიც გამართა მან. პრესა კარგად შეხვდა სტუდიის პირველ გამოსვლას და სტუდიამ უკვე მოიპოვა სიმპატია ფართე საზოგადოებისა.

სამწუხაროდ „სტუდიის“ წარმოდგენების საქმე შეფერხდა ერთის მხრივ თეატრის უქონლობის გამო, მეორეს მხრივ უსახსრობით. დღეს-დღეობით მიღებულია ზომები, რომ სტუდიას თავისი თეატრი ექნეს, მთავრობამ კი დახმარება აღმოუჩინა ფულით. დღევანდელი საღამოც იმ აზრით არის გამართული, რომ სტუდიის მატერიალური ძალა უფრო გაღონიერდეს და შეძლება მიეცეს მეტის მუყაითობით აწარმოოს თეატრის საქმე შემდეგ სეზონში.

ჩვენ იმედი გვაქვს რომ ქართული საზოგადოება ყურადღებით მოეკიდება სტუდიის დღევანდელ საღამოს და თავის დახმარებით შეძლებას მისცემს ახალგაზრდა ძალებს თავის მიზნების განხორციელებას.

საღამოს პროგრამა შინაარსიანად არის შედგენილი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მატერიალური მხრითაც კარგად ჩაივლის.

პროვინციის ცხოვრება

ქუთაისი.

საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში. 16 მარტს შესდგა მორიგი საზოგადო კრება საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა, კრებას განსახილველი ჰქონდა საკითხი ხსენებული საზოგადოების ბანკის მოსამსახურეების გაფიცვის შესახებ. კრებამ მოისმინა საზოგადოების გამგეობის მოხსენება, სადაც აღნიშნული იყო გაფიცვის მიზეზები და მისი მსვლელობა. მოსამსახურეები გაფიცულან 20 იანვრიდან უკანონო მოთხოვნილებების უკმაყოფილებლობის გამო. კრებამ ერთხმად გამგეობას მადლობა გამოუცხადა და მოსამსახურეებს კი საყვედური. მოსამსახურეებს კრებამ დაუდასტურა დეკემბრის ჯამაგირი და მისცა მათ სამი თვის დარჩენილი საუზმის ფული. მოსამსახურეებმა აგრეთვე წარმოადგინა ახალი მოთხოვნილება, რომლითაც თხოულობდენ 40—75 პროცენტის მომატებას.

მატარებელის მსხვერპლი. კვირას 16 მარტს ქუთაისიდან რიონის სადგურისკენ მიმავალ მატარებლიდან გადმოვარდა და მატარებელმა გასრისა ქუთაისის მცხოვრები არჩილ შავიანიძე.

მობილიზაცია. ქუთაისის ქალაქის გამგეობამ შეადგინა და ქალაქის ზოგ ადგილებში გამოაკრა სია იმ პირთა რომელნიც დაბადებულნი არიან 1899 წელში და უნდა იქნეს გაწვეულნი სამხედრო სამსახურში მომავალ წლის განმავლობაში. ეს სია უნდა წარედგინოს მაისის პირველ რიცხვებამდე სამაზრო სამხედრო საკრებულოებს, ხოლო გაწვევა მოხდება მაისის და ივნისის განმავლობაში.

შრომის კომისარი. ვ. ურუშაძე გაემგზავრა საჭილაოში მომუშავეთა და მწარმოებელის შორის მომხდარ კონფლიქტის მოსაგვარებლად.

მკვლელობა. კვირას 16 მარტს რიონის მარცხენა ნაპირას დათეშიძის მარნის ახლოს ქუთაისის მილიციონერებმა იპოვეს უცნობი კაცის გვამი, რომელიც მოუკლავთ ბოროტგამზრახველებს.

ზუგდიდის რკინის გზა. გზათა სამინისტრომ პარლამენტის პრეზიდიუმს შეკითხვაზე უპასუხა, რომ ზუგდიდის რკინის გზაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. ამასთანავე წინადადება მიეცა შავი ზღვის მიდამოების რკინის გზის მმართველ ინჟენერს, რომ უკანასკნელმა შეიმუშაოს საკითხი სადგურ ზუგდიდის შესახებ ზუგდიდის თვითმართველობასთან ერთად.

სამხედრო მინისტრის დეპეშები

თბილისი, მარტის 21. სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ ახალციხის სახალხო გვარდიის შტაბს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: ვსტოვებ რა სამხედრო მინისტრის თანამდებობას, გთხოვთ გადასცეთ გვარდიას ჩემი მადლობა რესპუბლიკის დასაცავად თავგანწირულ მოქმედებისთვის. სულით და გულით უსურვებ ჯარს და გვარდიას ძმურ შეთანხმებულ სამხედრო მოქმედებას კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების ჩაქრობის და რესპუბლიკის დაცვის საქმეში.

სამხედრო მინისტრის ბრძანება ჯარების მიმართ

მძიმე წუთები განიცადა ჩვენმა ქვეყანამ ჩემი სამხედრო სამინისტროს მეთაურობის დროს: შინაური ანარქია და მასთან ბრძოლა, ომი სომხეთთან და ოსმალების აგენტების გამოსვლა ახალციხე-ახალქალასის მაზრაში. ამ მომენტებში დადგა საკითხი ჩვენი არსებობისა, საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიულ წეს-წყობილებისა.

ქართველი მხედრობა თავგანწირული შეგნებით შეხვდა ამ მომენტებს და თავის სისხლით სახალხო გვარდიასთან ერთად დაიცვა საქართველოს თავისუფლება და დემოკრატიული წეს-წყობილება. შულავერის და აწყურის ფრონტზე, საჩხერის და ლეჩხუმის მიდამოებში მე პირადათ მოწმე ვიყავი ჩვენი მხედრობის ვაჟკაცობისა და თავგანწირვისა.

ქვეყნის დაცვასთან ერთად, რომელიც მუდმივ ბრძოლას მოითხოვდა, უნდა მომხდარიყო მთელი სამხედრო სისტემის და აპარატის განახლება. ამ მძიმე პირობებში თქვენი დახმარებით მე ესეც შევძელი. შექმნილი სამხედრო სისტემა და აპარატი თვით ცხოვრებამ გაამართლა, მათი მეოხებით თქვენ მტერი რამდენჯერმე შემუსრეთ,— შულავერთან, აწყურ-ახალციხესთან და ფოცხოვში.

ბრძა გაჩარხულია, მიზანი აღებულია, საშუალება გამოძებნილია. თქვენ დაიხალეთ შეერთებული [illegible] ძალის აუცილებლობა და ძლევა მოსილება; თქვენ იგემეთ სიტკბოება მოვალეობის ასრულებისა; თქვენ მსხვერპლი გაიღეთ და განიცადეთ გრძნობა გამარჯვებულისა.

ვინც თავის მოვალეობის აღსრულების დროს დაიღუპა, მათ ცხედრის წინაშე მუხლს ვიდრეკ.

შენ კი, ქართველო მხედრობავ, დღეს, როდესაც მე თქვენ ხელმძღვანელობას თავს ვანებებ, სამშობლოს სამსახურისათვის მადლობას გიძღვნი და იმედი მაქვს, რომ თქვენ ეხლაც მუდამ მზათ იქნებით საყვარელი სამშობლოს დასაცავათ.

სამხედრო მინისტრი **გიორგაძე.**

სოხუმის სახალხო გვარდიის შტაბისადმი.

სამხედრო მინისტრ გიორგაძემ სოხუმის სახალხო გვარდიის შტაბს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: ვსტოვებ რა სამხედრო მინისტრის თანამდებობას, გთხოვთ გადასცეთ გვარდიას ჩემი გულითადი მადლობა იმ შრომისთვის, რომელიც მან გასწია რესპუბლიკის დაცვის საქმეში. სულით და გულით ვუსურვებ ჯარს და გვარდიას ძმურ, შეერთებულ მოქმედებას დენიკინის შავი რეაქციას მოგერიების საქმეში.

დეპეშა გენ. კვინიტაძეს.

სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ახალციხეში გენერალ კვინიტაძეს, სუხუმში გენერალ გედევანიშვილს. 1 დივიზიის უფროს გენერალ ართმელაძეს, 2-ე დივიზიის უფროს გენერალ ფურცელაძეს და ქუთაისის გარნიზონის უფროს: ვსტოვებ რა სამხედრო მინისტრის თანამდებობას, მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს გამოგიცხადოთ თქვენ, თქვენს შტაბებს და თქვენდამი რწმუნებულ რაზმს გულწრფელი მადლობა იმ შრომისთვის, რომელიც გასწიეთ რესპუბლიკის დაცვის საქმეში.

სამხედრო მინისტრმა გიორგაძემ თავის დეპეშის პასუხად ახალციხეში მყოფ გენერალ გედევანიშვილისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „თქვენი ხელმძღვანელობა საქართველოს ჯარებისა იმ მძიმე მომენტში, როცა საქართველოს მძიმე წუთები უდგებოდა და უხდებოდა ბრძოლები არსებობის შენარჩუნებისათვის, სამარადისოდ დარჩება ქართველის ერის ხსოვნაში როგორც მაგალითი უანგარო ერთგულებისა და [illegible], რომელიც მიმართული იყო ხალხის საკეთილდღეოდ და სამშობლოს ძლიერების გასამტკიცებლად. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სამხე-

...უწყების მუშაობა მო-
...ი წავა იმ მიმართულებით, რო-
... თქვენ მიეცით მას, თქვენი
...ილება და (ოდნა კი სარგებ-
...მოუტანს რესპუბლიკას სახელ-
...მოღვაწეობის პასუხსაგებ სფე-

გენერალ გედევანიშვილი.

...ად იგორ კონსტანტი-
...ს ძის გარდაცვალება

...ლისში გავრცელდა ხმები, ვი-
...რამიანცის საავადმყოფოში შავი
...ით გარდაცვლილიყოს თავადი
...კონსტანტინეს ძე, შვილი განს-
...ლ- დიდი მთავრის კონსტანტინე
...ანტინეს ძის (პოეტი).

...ამდვილებით კი ეს ამბავი ასეა.
...ვლის გასულს თბილისში კავკა-
... ჩამოსულა ერთი ახალგაზრდა
...ელი და „ორიანტის“ სასტუმრო-
...ბინავებულა. ახალგაზრდამ დაირ-
...ერნეტ გ...აფ სტადნიკოვის სახე-
...იგი ეძებდა ქალაქში ძვირფას
...ით მოწყობილ ოთახებს. მარტის
...ლ რიცხვებში სახადით გახდა
...და მალე გარდაიცვალა არამიან-
...საავადმყოფოში და კუკიის სასა-
...ზე დააასაფლავეს. ამის შესახებ
...ცელდა ხმა, რომ განსვენებულ
...ვ სტადნიკოვი კი არაა, არამედ
...ად იგორ კონს—ძე. ყოფილ შინა-
...საქმეთა მინისტრის განკარგულე-
... მოწვეულნი იყვნენ ის პირნი,
... სამეფო გვარეულობას კარგად
...ბდნენ, იმის დასამტკიცებლად,
... გაეგოთ დამარხულის ვინაობა.
...ე ახსნეს და მიცვალებულის ნახ-
...შემდეგ ზოგიერთ პირებმა მართ-
...ცნეს დიდი მთავრის კონსტანტი-
...ონსტანტინეს ძის შვილი თავადი
... კონსტანტინეს ძე.

...ართ. ავტოკეფ. ეკლე-
...ის განთავისუფ. ორი
წლის თავი

...ანახმად საკათალიკოზოს საბჭოს
...დგენილებისა, საქართველოს ეკლე-
... აღდგენის დღე—12 მარტი ძვე-
... სტილით—აღიარებულია საეკლე-
... სავალდებულო დღესასწაულად.
...ნშვნა ამ დღისა იქნება 12 მარტს,
...ო უკეთუ 12 მარტს არის კვირა
...სხვა სავალდებულო უქმე, იმ შემ-
...ვანისათვის დღესასწაული გადაიდე-
...ახლოეს უქმე დღისათვის. ამ რი-
... წელს საქართველოს ეკლესიის
...თავისუფლების დღე იუქმება **კვი-
...ს 10 მარტს** სიონის საკათედრო
...ტაძარში, სადაც წირვის შემდეგ კა-
...ოლიკოზ-პატრიარქის მიერ უმაღლეს
...ეკლესიების თანამსახურებით შე-
...ულებულ იქმნება სამადლობელი პა-
...ალისი.

...ევსურეთი

...ბთა, დაშორებულია ახალ საქარ-
...ელოს. რევოლიუციის კიკილმა და
...ურ-ბაურმა, შუბლი ვერ გაუხსნა მთას
... პირმიბრუნებული გაცხელებული
...ელ ჩვენებებში სდგას ჩაჩქან-ასხმუ-
...ი და თუ შეშინებული ახალი საქარ-
...ველო დაიკივლებს მტრისაგან, იგი
...ებად გაჩნდება საქართველოს რაზ-
...ებში და მოაგონდება ძველი კრწანი
..., ზატხანის დროშა და ელის მეფე
...რაკლის რაყამს.

...რა ბევრს ლაპარაკობენ დღეს აჭა-
...ზე, ბორჩალოსა და საინგილოზე და
...ოგორ არავის არ ახსოვს მთა, რომ-
...ის იმედი შუდამ გვანთებს და რო
...ელმაც თვისი თავი თვითონვე დაი-
...წყა.

...და თუშეთი, ფშავი, ხევი ხევსურე-
...ი, მივიწყებულია ჩვენ მიერ როგორც
...აფლავი რამ ძველი, გაოცნებული.

...არ იღებდა ხმას არავინ, არავინ
...ეიქრობდა მისთვის, მხოლოდ ფარაო-
...ებივით თუ ავიდოდა ვინმე ბოქაული
...რამზადა ჩაფრებით და გალოთებულს
...ოიაკვანს თუ აკურთხებდნენ მღვდლად
...მათ ჰქონდათ მთაში ყველაფერი,
...გარდა კულტურისა, გარდა საქართვე-
...ლოს შეგნებისა.

მაგრამ მთა მაინც არ საჭიროებდა
...ათ მიერ საქართველოს გაგებას

...რადგანაც საქართველოს გარეშე
...მისი ფიქრი არა ყოფილა.

მთა მუდამ ზვიადი ამით ამაყობდა
...ქიდეც და უნდოთ უცქეროდა ბარს,
...სადაც უძრავად იგდა საქართველოს
...ტუბო.

მაგრამ გაიგო ახლა მონობის გათა-
...ვება და საქართველოსთვის ურიგდება
...ბარს მორცხვად, თავს იხრის მოდის
...თხოვნით.

...რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინს-
...პექტორ ბ მაღლაკელიძეს წარუდგენენ
...რწმუნებულნი პირაქეთ ხევსურეთისა
...და მოახსენეს, რომ ყოველად შეუძლე-
...ბელია ამიერიდან ამ მიუვალ კლდე-
...ღრეში მათი ყოფნა. დასაბუთებულ
...ისინი ასწერენ თვის აუტანელ გაჭირ-
...ვებას უგზოობას, უსკოლობას და ყო-
...ველგვარ კულტურულ ნასახის უქონ-
...ლობას. ჩვენან აგრედვე, რომ ასი
...წლის განმავლობაში რუსეთის ძველი
...მთავრობა ბევრჯელ ჰპირდებოდა მათ
...უამრავ მიცემულ შუამდგომლობათა
...დაკმაყოფილებას, მაგრამ ერთი ნაბი-
...ჯიც არ გადაუდგამს მათ გაჭირვებულ
...მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ასე
...გასინჯეთ, გზაც კი ვერ გაიყვანა ამ
...მოწყვეტილ კუთხემდისო. ხევსურებმა
...განუცხადეს ბ. მაღლაკელიძეს, რომ
...მათ ვეღარ აიტანეს ესეთი მდგომა-
...რეობა და ნაწილი უკვე ჩამოსახლდა
...ცივ-გომბორის კალთებზე და მოიწყო
...კარ-მიდამო, მაგრამ ვინაიდან ბევრია
...ჯერ კიდევ მსურველი გადმოსახლები-
...სა, ამიტომ ისინი სთხოვენ ფართე
...დახმარებას. ბ. მაღლაკელიძეს, რომ
...მთელი კოლონიზაცია ხევსურებისა
...მშვიდობით დამთავრდეს ამ კუთხეში.
...ბ. მაღლაკელიძემ გულდასმით მოუსმი-
...ნა ხევსურთა რწმუნებულებს და აღუ-
...თქვა სრული სასწრაფო ზომების მი-
...ღება მათ დასახმარებლად.

ვახტანგ გედევანიშვილი.

აზერბაიჯანი

ეროვნული ურთიერთობა.

ეროვნული ურთიერთობა, განჯის გუბერნიაში თათარ-სომეხთა შორის მეტად მწვავდება. ამ მოვლენას ხელს უწყობს როგორც გავრცელებული პროვოკაცია ისე აგრარული რეფორმა, რასაც ბეგები ამწვავებენ და რითაც შეტაკებას ახდენენ თათარ-სომეხთა შორის.

კაბინეთის კრიზისი.

აზერბაიჯანის კაბინეთის კრიზისი გრძელდება. მინისტრ-თავმჯდომარის პორთფელი უნდა გადაეცათ სახალხო განათლების მინისტრს ნასიბ ბეკ-უსუ-ბეკოვს, მაგრამ მან უარი განაცხადა.

ყარაბახის „გენერალ-გუბერნატორი“.

ბაქოში ყარაბახიდან ჩამოვიდა ყარაბახის გენერალ-გუბერნატორის ხ. სულთანოვი, რომელმაც განაცხადა, რომ მისმა მოღვაწეობაში ყარაბახში არავითარი ნაყოფი არ მოიტანა.

ყარაბახის დელეგაცია.

თანახმად მოკავშირეთა სარდლობისა ბაქოში ჩამოვიდნენ სომეხთა დელეგატები ზოგიერთ საქმეთა მოსალაპარაკებლად.

სომეხთა ფრაქციის შეკითხვა აზერბაიჯანის პარლამენტისადმი.

3 მარტს სომეხთა ფრაქციამ შეეკითხა აზერბაიჯანის პარლამენტს განჯის გუბერნიის ამბების შესახებ. ფრაქცია სთხოვს აზერბაიჯანის მთავრობას, რათა მან გამოიკვლიოს, თუ რამდენად მართალია ის ცნობები, ვითომ განჯის გუბერნიაში თათართ და სომეხთა შორის განხეთქილება იზრდება. თუ ეს მართალია, შეიძლება სამწუხარო შედეგები მოჰყვეს, კიდევ სისხლის ღვრა და სომეხთა მცხოვრებთა აოხრება მოხდეს, ამიტომ ფრაქცია წინადადებას აუყენებს აზერბაიჯანის პარლამენტს, რომ ეხლავე მიიღოს ამისთვის შესაფერისი ზომები.

მთიელთა რესპუბლიკა

მთიელთა მინისტრთა თავმჯდომარის პშემახო კოკოევას გადადგომა მართალი არ გამოდგა.

მთიელთა რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ჯაბაგიევი თბილისიდან გამგზავრებისას შეივლის ბაქოში, იქიდან კი შურში გაემგზავრება.

მთიელთა მთავრობას წინადადება მიუცია გენ. პრეფეკტ...სკისთვის, რომ პეტროვსკი და მისი მიდამოები დაუყოვნებლივ დასტოვოს. სამხედრო მინისტრს განკარგულება გამოუცია რომ ხასაკ-იურთის-გროზნის რკინის გზის ლიანდაგზე მუშაობა შეაჩერონ. ეს განკარგულება გამოცემულია მოხალისეთა არმიის შემოტევის გამო, რათა მათ სავლელი გზა აღარ ჰქონდეთ. გენ. ლიახოვს რამდენჯერმე მოუწადინებია რომ ჩაჩნები თავის მხარეზე როგორმე გადაეყვანა, მაგრამ ჩაჩნებს ამაზე კატეგორიული უარი განუცხადებიათ და უთქვამთ რომ იგინი მხოლოდ მიეკედლებიან მთიელთა ხალხის ძალა უფლებას.

ამის გამო ჩაჩნებსა და მოხალისეთა შორის დიდი შეტაკება მოხდა. პირველად წინ მიიწევდნენ მოხალისეთა რაზმები განსაკუთრებით სოფელ გოითის მხრიდან მოუარეს მოხალისეებმა და ჩაჩნები ხიფათში ჩააგდეს. ბრძოლამ კარგა ხანს გასტანა. მაგრამ მალე ახლო მახლო ჩაჩნების სოფლებიდან ურუსმართანიდან, შალი, აროუნიდან გადმოვიდნენ ჩაჩნები და მტრის მოწინავე რაზმი გაარღვიეს. ყაზახებს და მოხალისეებს ჩაჩნებმა დიდი ზარალი მიაყენეს და სასტიკადაც დაამარცეს ლტოლვილ მტერს მათ ქალაქ გროზნამდის სდიეს.

ქართული უნივერსიტეტის გამგეობა

ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტების კავშირის გამგეობა მხოლოდ ს.-ფედერალისტთა წარმომადგენელთა გან შესდგება. გამგეობის არჩევიდან ერთი კვირის შემდეგ გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატების ფრაქცია მისთვის, რომ იქ გამეფებულ „შუქურ ვარსკვლავთა“ სამართლიანობამ არ მისცა მათ პრეზიდიუმში შესაფერი ადგილი. ერ.-დემ. სტუდენტობამ ამაში დაინახა პარტიულ დროშის შეურაცხყოფა და თავისი ფრაქცია გამგეობიდან გამოიწვია. გამგეობაში ორი ფრაქცია დარჩა: ს.-ფ. და ს.-დ. გადის დღიდან არ ჩევისა 4 თვე და გამგეობიდან გამოდის სოც.-დემ. ფრაქცია. მიზეზი? მიზეზი ისაა, რომ იქ მაინც არაფერი კეთდებოდაო. გადის ორი კვირა ს.-დ გამოსვლიდან და ს.-ფედ. მემარცხენეთა ფრაქციის წარმომადგენელიც გამგეობიდან გამოდის. საქმე იმაშია, რომ პარტიული ფანატიკოსები ჩვენი სტუდენტები საზოგადო მუშაობისათვის აღარ ვარგანან. მე არ შევუდგები იმის განხილვას თუ რამდენად მიზან-შეწონილია ეროვ.-დემ. გამოსვლა იმისთვის, რომ მათი პარტიული დროშა შეურაცხყვეს. ეს დიდი საკითხია და ყველას თავისებურად ესმის. მაგრამ გამოსვლა იმისთვის, რომ იქ არაფერი კეთდებოდაო, სირცხვილია არა მარტო სოციალ-დ. რომლებმაც ასეთი ფრაქცია აირჩიეს, არამედ ქართველ სტუდენტობისათვის, რომლის სახელს ისინი ატარებენ. არაფერი კეთდებოდაო მჩატე სათქმელია, მაგრამ ძნელია ის მაშინ, როცა ამ არაფრის მკეთებელთა გამგეობაში თქვენც ბ-ს-დ-ო 4 თვე ხალათას ძალით გეძინათ. პირველი დანაშაული თქვენი ის არის, რომ არაფერი გააკეთეთ, მეორე კი ის არის, რომ მოინდომეთ პასუხის მგებლობას გაქცევოდით.

ახლა გადავიდეთ რა გააკეთა ხსენებულ გამგეობამ უნივერსიტეტის საარგებლოდ. გააუმჯობესა სტუდენტობას ოჯახური მდგომარეობა, მოაწყო სტუდენტებისთვის იაფ-ფასიანი სადილი? ვერა, მოაწყო სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი?—ვერა, მოაწესრიგა უნივერსიტეტში მეცადინეობის საქმე, გამოსცა რომელიმე პროფესორის ლექციები? არა!

მიჰმართა თუ არა რომელიმე დაწესებულებას (მაგ. ქალაქთა კავშირს) რომ დახმარებოდნენ სტუდენტობას იაფ ტანსაცმელ-ფეხსაცმელის ან სურსათის მიწოდებაში? არა.

გააძლიერა თუ არა თავისი მატერიალური რესურსები, რომ მომავალ გამგეობას მაინც შესძლებოდა რამე გაეკეთებინა? ვერა.

გამოვიდა თუ არა რაიმე ინიციატივა მათგან საერთო თბილისის ან თუ გინდ ქართველი სტუდენტობის ცხოვრებაში. ისიც კი ვერ შეასრულეს, რაშიაც მათი პარტია ფრიად დახლოვნებულია (დროშებით გამოსვლა). მათ იქამდე მოადუნეს ქართველი სტუდენტობა რომ ქართველი სტუდენტობის მრავალ რიცხოვანი პროცესია საქართველოს ისტორიულ დღესასწაულზე 12 მარტს არ ჰსჩანდა.

ასე სახელოვანად მუშაობს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირისა და ნამდვილად კი შუქურ ვარსკლავთა პარტიის გამგეობა. ორ-კვირაზე მეტია წერილობითი განცხადება შეიტანეს ერ. დემ. და ს. დემ. საუნივერსიტეტო ფრაქციებმა, რომ მათ კრება მოიწვიოთ, მაგრამ გადის მესამე კვიროაც და კრებას არ იწვევენ. გრცხვენიათ თქვენი ნამოქმედარის გამოქვეყნება? ჰკითხეთ: რამ შეუშალათ ხელი? გეტყვიან სომხეთის ომმა, არჩევნებმა და სხ. აბა ერთი გვიბრძანეთ ბ. ფედერალისტებო და თქვენც მოვალეობისაგან გაქცეულნო ს.-დემოკრატიულო ფრაქციავ, რომელი თქვენგანი იყო ომში თუ ომში წასვლად ჯარის-კაცის გეტრებითა და „ბატინკები“-თ გოლოვინის პროსპექტზე სეირნობას არ ჩაესთვლიან?

თქვენგან ომში წავიდა მგონი ერთი თუ ორი. და დანარჩენი 15 კაცი რას აკეთებდით?.. არაფერს. ქართველი სტუდენტობა მიუხედავად პარტიული რწმენისა, როგორც მოქალაქე, რომლის ნდობაც თქვენ ბოროტად გამოიყენეთ, მოვალეა სასტიკი პასუხი მოგთხოვოს თქვენ პარტიულ ამხანაგებისა და ქართველი სტუდენტობის ტრადიციის შექმნით.

ამხანაგებო, ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებო! ხომ ჰხედავთ მთელი 5 თვის თქვენი გამგეობის მოქმედებას. ამაღლდით მოქალაქეობრივ შეგნებამდე. დაესწარით სტუდენტთა საერთო კრებას, აპასუხი მოსთხოვეთ თქვენი ნდობის ბოროტად მომხმართ და აირჩიეთ ახალი საქმიანი გამგეობა, რომელიც მაღლა დაიჭერს ქართველ სტუდენტთა ალაგს.

ე. პატარიძე.

გორის სამაზრო ეროგის ყრილობა

გორის სამაზრო ერობა ერთი ცოცხალი, და მომქმედი ერობათაგანია იმ დროს როცა სხვა ერობებს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ, გორის ერობამ სულ სამი თვის არსებობაში ბევრი რამ გააკეთა, შეადგინა მფრინავი რაზმები და გადამდებ სენთან საბრძოლველად დაჰგზავნა მაზრაში, იშოვნა საქონლის ჭირთან. რომელიც დიდათ არის გავრცელებული მაზრაში, საბრძოლველი შრატი და ფართედ მოაწყო საქონლის აცრის საქმე, გაეხსნა სამასწავლებლო კურსები, რომლიდგანაც შვიდის თვის შემდეგ უკვე მომზადებული მასწავლებლები გამოგვივლენ და სხვა და სხვა.

15—18 ამ თვისას მოხდა სამაზრო ყრილობა. ხმოსნებისა, რომელზედაც ბევრი მეტად საყურადღებო საკითხები გაირჩა. უპირველეს ყოვლისა მოხდა მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები. მაზრა არის დაყოფილი 11 სამოსამართლო უბნად და საჭირო იყო ამდენი რიცხვის მოსამართლის არჩევა. უპირატესობას აძლევდნენ უმაღლეს სწავლა მიღებულთა და საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეთ. შემოტანილი იყო სულ 27 თხოვნა. აირჩიეს მოსამართლედ სხვათა შორის ჩვენი მცხოვანი მწერალი სოფ. მგალობლიშვილი. ამ გარემოებამ ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა გორის საზოგადოებაზედ. 1. მგალობლიშვილს კარგად იცნობს გორი, პირველად აქ დაიწყო მან მოღვაწეობა აქ იგი ედგა ყოველივე საზოგადო საქმეს სათავეში და აი დღეს იგივე მოღვაწე უბრუნდება გორის საზოგადოებას. განძრახულია აირჩიონ იგი მოსამართლეთა თავმჯდომარედ.

შემდეგი დ საყურადღებო საკითხი იყო წვრილი ერთეულის შექმნა სოფლად. ხმოსნების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ წვრილ ერთეულად დარჩენილიყო და არსებული საზოგადოებანი, თვით ერობის გამგეობა კი იმ აზრისა იყო რომ შეექმნა მხოლოდ 11 წვრილი ერთეული. ხმის უმეტესობით გადაწყდა ორი-სამი სოფლის საზოგადოების ერთს ერობის ერთეულში მოთავსება. მაგრამ როცა დაიწყეს ამგვარი განაწილება მაზრისა, აღმოჩნდა ბევრი დაბრკოლება და ხელოვნურად მიკოწიწება ერთის სოფლის საზოგადოებისა მეორეზედ ვერ მოხერხდა და ამიტომ გადაწყდა 20 წვრილის ერთეულის დაარსება. კრებაზედ გამოითქვა ის აზრი რომ წვრილ ერთეულებისთვის ვერ ვიშოვნით სამუშაოდ ხალხსაო. მაგრამ ამაზედ თამამად შეგვიძლიან შევახსენოთ, რომ მოღვაწეებს ყოველთვის იშოვნით, ქართლელარიბი არ არის ნასწავლი ხალხი, რასაკვირველია პარტიული საზომით არ მიხვალ მათთან. ჩვენ თითონ ვიცით სოფლებში ინტელიგენცია ბლომათ მოიპოვება, მაგრამ გამეფებულ ნომერს არ ეკუთვნიან. საჭიროა რომ ამ წვრილ ერთეულში მაინც დავანებოთ თავი ამ საზომავს.

ამის შემდეგ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა თავმჯდომარე გამგეობისა ბ. ახალაძე ქართლის მინდვრებში სარწყავ არხების შექმნის შესახებ. ვრცლად და გარკვევით დაასაბუთა მათი საჭიროება ქართლის მინდვრებისათვის, რომელნიც ქრონიკულს გვალვას განიცდიან და ამით შიმშილს თავს ვერ ახწევს ქართლის ხვნა-თესვის რაიონი. მომხსენებელმა საჭიროდ დაინახა სამი არხის გაყვანა, რომელთაგანაც ყურადღებას იქცევს ტირიფონის არხი, რომელმაც უნდა მორწყოს უშველებელი ელ-მინდორი. ყრილობამ ერთხმად დაადგინა ამ არხის დაუყოვნებლივ გაყვანა.

რაც შეეხება სამკურნალო დახმარების მოწყობის შიშსში ამ მხრივ განძრახული იყო ექვსის სამკურნალო პუნქტის დაარსება, მაგრამ ყრილობამ ერთხმად აღიარა საჭიროება არა ნაკლებ 11 პუნქტის დაარსება, რისთვისაც ყრილობამ გადასდო მილიონ ნახევარი მანეთი.

მესაქონლობისათვის და საბეითლო დახმარებისათვის მაზრა გაიყო სამ საბეითლო უბნად. განძრახულია საქონლის ჭირის გარდა, ფართოდ მოეწყოს ღორების ჭირისა და ქათმების ჭირის ბრძოლა. დღეს მაზრაში ბევრს ადგილას ისეა მოდებული ქათმისა და ღორის ჭირი, რომ ბევრი სოფელში სრულიად გასწყდა ხსენება ქათმისა. გადაწყვეტილია აგრედვე სამაკი სადგურის მოწყობა მაზრის ერთ-ერთ მოხერხებულ ადგილში.

ბევრი კამათი გამოიწვია სასურსათო დახმარების საკითხმა. აღმოჩნდა, რომ გორის მაზრაში იმ დროს, როცა ზოგიერთი სოფლები სიმშილს განიცდიან, ზოგგან კიდევ სოფლები სავსენი არიან ხორბლით და მთელი 10—15 ვაგონის ჰურის გამოტანა შეიძლებაო—მე თითონ დავიარე და ვნახე ჩემის თვალით ეს ხორბალი, სთქვა ერთმა ხმოსანმა, ხორბლის ფასიც უნდა დაეცემულიყო ხუთს თუმნამდისაო, მაგრამ თბილისიდან მოსულმა ჩარჩებმა ხელოვნურად ისევ ასწიეს მისი ფასებიო. განზრახულია ამისთანა სოფლებში გაჰგზავნოს ერობამ ფართლეულობა და გადასცვალოს ხორბლეულობაში.

საზოგადოდ ყრილობა მეტად კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. აქ ვერ გაიგონებთ გრძელ-გრძელ სიტყვებს ფერად-ფერად შედარებებს, ყველა საკითხს მოკლედ, სხარტულად ეხებიან. ჰხედავთ, რომ შეყრილან პრაქტიკის, გამოცდილების ხალხი, საქმის მსვლელობით დაინტერესებულნი და არა ენის მოსაქავებლად მოსულნი. ჰაედავთ იმ ნამდვილს დემოკრატიას, შეგნებულს დემოკრატიას, გულში გიხარიათ და მომაკალი ია ვარდით მოფენილი გეჩვენებათ.

ზ. ედილი.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

20 მარტი

ინგლისური პრესა.

იძულებით ჯარში გაწვევისთვის.

„ჩიკაგო დეილი ნიუსი“ სწერს, რომ ლლოიდ ჯორჯის პროექტი, გაუქმდეს იძულებითი ჯარში გაწვევა, გამოიწვევს წინააღმდეგობას საფრანგეთის, ამერიკის, იტალიის და თვით გერმანიის მხრით. ფრანგები იმ აზრის არიან, რომ ძნელია ჯარის შეკრება მოხალისეთაგან, იტალიელნი კი გულახდილათ აცხადებენ, რომ მოხალისეთა შენახვა ძალიან ძვირათა ჯდება. ამერიკელები იმ აზრის არიან, რომ ყოველი კაცი მოვალეა ემსახუროს თავის ქვეყანას, სახელმწიფოს. მარშალ ფოშის პლანით გერმანიის ჯარი უნდა შემცირდეს 200,000 კაცამდე, ინგლისელი ექსპერტები კი აცხადებენ, რომ ჯარში იძულებითი გაწვევით ეს რიცხვი 6.000,000-მდე გაიზრდება. საქმის გართულება ამ მხრივ ყველამ აღიარა, მაგრამ ფიქრობენ, რომ ამ საკითხს გადასწყვეტს, პირობები, რომელიც ეხება შეიარაღების შემცირებას. მოკავშირენი განსაზღვრავენ სხვა და სხვა იარაღის მაქსიმუმს, რომელიც უნდა იყოლიოს თვითეულმა სახელმწიფომ. დიდ რიცხოვან ჯარს, რომელიც კარგათ შეიარაღებული არაა, მცირე მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ომის წარმოებაში, რის დამამტკიცებელიცაა რუსეთის კამპანია.

ბონარ ლოუ

ბონარ ლოუმ თემთა პალატაში მოხსენება წაიკითხა მუშათა საკითხზე. მან სთქვა, რომ არსებობს სამი მიმდინარეობა, რომელნიც ემუქრებიან მუშაობის წესიერ მსვლელობას. დამტკიცებულ მუშათა შესახებ მას შეუძლიანსთქვას, რომ სამუშაოს მიმცემთა წინადადება, რომელიც წარედგინა შრომის მინისტრს და მას, დამაკმაყოფილებელი და გონიერია და მას იმედი აქვს, რომ ეს პირობები მისაღები იქნება. მეორეს მხრივ მოლაპარაკება სწარმოებს რკინის გზელებთან და თუმცა მას ჯერ-ჯერობით არ შეუძლია სისწორით იცოდეს მუშათა მოთხოვნილებანი და მთავრობის წინადადებანი, მას საჭიროდ მიაჩნია სთქვას, რომ მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა დასტოვოს შრომის ქირა იგივე ამ წლის ბოლომდე. მუშები მოითხოვენ დამატებითი ქირას, რომელიც შეადგენდა ათ მილიონ... (გაუგებარია)... თანხას, რაც რკინის გზის არსებულ მდგომარეობა მეტად მძიმეა. მესამე მხრით, რაც შეეხება ქვა-ნახშირის საკითხს, წარმოდგენილი იყო სიმი მოხსენება. ამ მოხსენებაში სამთო მუშები მოითხოვდენ ნაციონალიზაციას. შემდეგ ისინი მოითხოვდენ შრომის ქირის მომომატებას და სამუშაო დღის შემცირებას, 8-დან-6 საათამდე.

ბოლშევიკური ცნობები.

(ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი).

მოსკოვი. მარტის 20. რუსეთ. კომ. პარ. 8 ყრილობამ კომუნისტურ ინტერნაციონალის საკითხის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ყრილობა ესალმება მე-3-მე ინტერნაციონალს და სავსებით უერთდება მის დებულებებს. რ. კ. პ. მთელს თავისი ძალ-ღონით იბრძოლებს მე-3-მე ინტერნაციონალას მიზნების განსახორციელებლათ.

ხარკოვი მარ. 20. გუშინ ჩვენმა ჯარმა სადგურ ბერეზოვკასთან შეუტია ვოზნესენსკის და ადელის შუა, სადაც ბერძნები და მოხალისენი იყვენ გამაგრებული. მოწინააღმდეგე დავამარცხეთ და გავაქციეთ. ჩვენ დაგვრჩა 100 ტყვეისმფრქვეველი, ზარბაზნები, ჯავშნიანი მატარებელი, 7 ორთქლმავალი, მრავალი სამხედრო მასალა და ცხენები. ხელში ჩავიგდეთ ... და ორი შტაბი. მოწინააღმდეგეს 500 კაცი დაეღუპა, ჩვენ კი 200.

კიევი, მარტის 19. სამხედრო ცნობა. უმერინის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. ვინიცის რაიონში მოწინააღმდეგე დამარცხდა. ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები. ყუმბარები და 13 ტყვეის მფრქვეველები.

მოსკოვი. მარტის 20. რ. კ. პ. ყრილობის მეორე დღეს ლოზოვსკი ინტერნაციონალისტ ესდეკის პ. სახელით მიესალმა ყრილობას. დღის წესრიგშია პარტიულ პროგრამის საკითხი. მომხსენებლებია ბუხარინი და ლენინი. თავის მოხსენებაში ბუხარინმა სთქვა, რომ პროგრამა, რომელიც ეხლა მუშავდება, უნდა იყოს ინსტრუქცია პარტიულ მუშაობისთვის, პროგრამა უნდა იყოს მაგალითი საზღვარგარეთელ ამხანაგებისთვის. პროგრამამ უნდა მოგვცეს პროლეტარიატის დიქტატურის ანალიზი, სხვა და სხვა შემთხვევებმა გვაჩვენეს, რომ საბჭოები საერთო პროლეტარიატის დიკტატურის ფორმას წარმოადგენს. ლენინი თავის მოხსენებაში შეჩერდა პროგრამის სადაო საკითხებზე. ის წინააღმდეგია ბუხარინის განცხადებაზე რომ ფორმულა „ერთა თვით გამორკვევა“ შეიცვალოს ფორმულათ „თვით გამორკვევა მხოლოთ მშრომელ კლასთან“. საზღვარ-გრეთ მუშებს აშინებენ, რომ ბოლშევიკებს სურთ ძალით და წითელი ჯარის ხიშტებით გაატარონ თავისი სისტემა. ძალით არ შეიძლება კომუნიზმის... (გამოტოვებულია). პარტია ისახავს მიზნათ გლეხები ბურჟუაზიის დააშოროს და მუშათა კლასის მხარეზე გადაიყვანონ. კოოპერაციის შესახებ ლენინმა სთქვა, — რომ კოოპერატივების კონტრ-რევოლიუციონური მიდრეკილება უნდა მოიხსნას. საკითხი ბურჟუაზიულ სპეციალისტების შესახებ გარკვეულათ უნდა გადასწყდეს. ისინი რომ ჩვენ აპარატში შემოვიერთოთ, ამისთვის უნდა გავიღოთ მსხვერპლი. ჩვენ უნდა მივცეთ მათ რაც შეშეიძლება უკეთესი პირობები ცხოვრებისათვის. ეს იქნება საუკეთესო პოლიტიკა. ლენინმა სთქვა, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა ბოლომდის შეიძლება მაშინ, როცა მართველობაში მთელი ხალხი მიიღებს მონაწილეობას. ბოლოს ლენინმა სთქვა, ბურჟუაზია საბჭოებს არ განუდეევნია. ისინი თვით წაგიდენ. პარტიის პროგრამაა იბრძოლოს უთანასწორობის მოსასპობად.

საკავშირო ფლოტი—ევეუ-
ნის სიმდიდრე

საკუთარი საზღვაო ტრანსპორტი საკუთარ საგარეო ვაჭრობას ჰქმნის. საკუთარ ტრანსპორტის უქონლობა იძულებულ ჰხდის სახელმწიფოს გაჰყიდოს თვისი საქონელი შინაურ ბაზარზე იაფად და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთელი ვაჭარი კეთილ ინებებს და მობრძანდება თვის გემების ცარიელ ტრიუმებით. რა საკვირველია თქვენც ერთგვარი შეძლება გაქვთ დაიქირაოთ გემი, საზღვარ-გარეთის ნავთსადგურებში თქვენი საქონლის გადასაზიდად. მაგრამ, ასეთი მოვლენა განსაკუთრებულ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს.

საერთოდ კი კარგად მოწყობილი სატრანსპორტო საზოგადოება, რომელიც სავაჭრო მოქმედებაში თავისუფალია როგორც გადასატან საშვალებების, აგრეთვე ბაზრის მხრით, თითონ მოაგვარებს ამ საქმეს და არავითარ შემთხვევაში არ გადასცემს სხვის ხელში ვაჭრობას. ყოველ სახელმწიფოს შეუპოვარ მისწრაფებას შეადგენს საზღვაო საზღვრის შეძენა ამას ჩვენ აშკარად ვხედავთ, შორს რომ არ წავიდეთ ჩვენი მეზობლების მოქმედებაში. საყოველთაოდ, სულყველა სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა, შორეულ დროიდან დღევანდლამდე რომ გადავათვალიეროთ ვნახავთ, რომ ამ პოლიტიკის ძირითად საგანს შეადგენდა საზღვაო საზღვრების მოპოება. ზღვისკენ გასავალი ყოველთვის დიდ ღირებულებას წარმოადგენს, ამ ღირებულების მთლიანმდ გამოყენება კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს საკუთარი საზღვაო ტრანსპორტი. საუბედუროდ, ამ ხანად, ჩვენი მდგომარეობა ამ საკითხში დიდად არ განსხვავდება იმ კოლონიელ ველურთა მდგომარეობისაგან რომელთაც ევროპიდან მოსული ვაჭრები უსინდისოდ ატყუილებდენ და აუარებელ სიმდიდრის მაგიერ, რომელიც მათ ევროპაში გაჰქონდათ, უბრალო ბრჭყინავ ფოლაქებს, ქოლარუნებს, ჯიბის დონებს და სხვა ამ გვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე ღირებულობის საქონელს აწვდიდენ.

ძნელია იმის გამოანგარიშება თუ რამდენ მილიონს გადავაყოლებთ ჩვენ უცხოელებს, საგარეო ვაჭრობაში, თუ დროზე ვერ მოვაწყეთ საკუთარი ტრანსპორტი. რამდენადაც ფართო ხასიათს მიიღებს ჩვენი საგარეო აღებ-მიცემობა, იმდენადაც მეტი ფული გადავა ჩვენი ჯიბიდან უცხოელის ჯიბეში.

ჯერ ისევ გაცხარებულ ომის დროს, თითქმის ყველა სახელმწიფოებმა დაიწყეს თავიანთი სავაჭრო ფლოტის გადიდება.

1916 წლის მეორე ნახევარში ნორვეგიამ შეუკვეთა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს მთელი რიგი საზღვაო გემებისა; გერმანია შეუდგა უდიდეს სავაჭრო ფლოტის შედგენას; ინგლისი იწყობს საბარგო ორთქლმავალების გაორკეცებულ შენებას. ამას თანაც დაურთეთ ის, რომ ამ ომის დროს საერთო ტონნაჟი ძლიერ შემცირდა, მიიღეთ მხედველობაში ისიც რომ ომის დამთავრების შემდეგ საერთო აღებ-მიცემობა ჩქარის ტემპით წავა და ნათლად დაინახავთ თუ რა დიდი უნარის გამოჩენა გვჭირია ჩვენ, რომ უცხოელების ყურებოჭრილ მონად არ გავხდეთ.

ამის გარდა, ჩვენი ნავთსადგურები არც ერთი არ დგას საერთო საზღვაო ვაჭრობის გზებზე. გზად შემოსვლა ამ ნავთსადგურებში შეუძლებელია.

სპეციალურად კი გემების აქ გამოგზავნა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ უცხოელი ვაჭარი ბაზრიდან განსაკუთრებულ მოგებაში დარწმუნებული იქნება. რა თქმა უნდა გემის შოვნა შეუძლებელი არ იქმნება, მაგრამ ამისათვის საჭირო იქნება მათი მიტყუილება, შედარებით სხვა ნავთსადგურთან გადიდებულ ფრახტით. სხვანაირად რომ ვსთქვათ ეს მოასწავებს, გარეგან ბაზარზე ჩვენი საქონლის დასატრიალებლად, მისი, ე. ი. საქონლის ფასის დაწევის აუცილებლობას.

ზემოდ მოყვანილ ფაქტებს დიდი გავლენა აქვთ აგრეთვე ფულის ღირებულებაზე.

თუ ჩვენ გვსურს რომ ფულის ფასი აიწიოს, აუცილებლივ საჭიროა გაზიდვამ შემოზიდვას გადააჭარბოს, და თანაც არა სიმრავლით, არამედ ღირებულებით.

ჩვენ გვჭირია საკუთარი ტონნაჟი. ჩვენთვის უფრო საჭიროა, არა სამგზავრო ორთქლმავალები, არამედ უბრალო სატვირთო გემები.

ს. საკაშვილი.

მუნიციპალური ცხოვრება

შაქრის საკითხი

ქალაქის გამგეობას შეაქვს საბჭოში მოხსენება სავალდებულო დადგენილების გამოცემის შესახებ, რომლის ძალით უნდა აეკრძალოს კანდიტრებს კანფეტების, ტორტების, ქადების და სხვა საკანდიტრო ნაწარმოების მომზადება, ვინაიდან თბილისს შაქარი შემოაკლდა და ყოველ დღე სპეკულანტები მასზე ფასებს ადიდებენ, რასაც კანდიტრები ხელს უწყობენ. რადგანაც მათ შაქრის სიძვირე არ აწუხებთ და ერთი ასად იბრუნებენ სპეკულიანტების შაქარზე გადაცემულ ფულს. ამ უკანასკნელ ორ სამ დღეში შაქრის ფასმა აიწია 1.550 მ. ფუთი.

საქონლის დაკვლა

თბილისის ყასბების გაფიცვა უკვე დამთავრდა და ქალაქის სასაკლაოში საქონლის დაკვლა დაიწყო. გუშინ სასაკლაოში დაკლეს სამასზე მეტი სხვილ ფეხა საქონელი. ქალაქის გამგეობის მიერ დადგენილი ნიხრი 5 მან. და 50 კაპ. გირვანქა ჯერჯერობით მათ აკმაყოფილებს.

გაფიცვის საკითხი

ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა გაფიცვა ტეხნიკურ პირობებისა გამო 20 მარტიდან გადაიდო 25 მარტამდე. გამოირკვა, რომ ქალაქის გამგეობის 25 დაწესებულებიდან 19 დაწესებულების მოსამსახურენი გაფიცვის მომხრენი არიან და დანარჩენი მოსამსახურენი, მათ შორის ტრამვაის, წყალსადენის, სადგურის მოსამსახურენი და სხვანი გაფიცვაში მათ მხარს არ უჭერენ.

ქალაქის გამგეობის წევრი

სიო დ. ჭანტურიშვილმა, რომელიც ქალაქის საბჭომ ქალაქის გამგეობის წევრად ამოირჩია, გუშინ მიმართა საფინანსო მინისტრს თხოვნით გაანთავისუფლოს იგი საფინანსო სამინისტროს კანცელარიის თანამდებობის აღსრულებიდან. ბ-ნი ს. დ. ჭანტურიშვილი ამ დღეებში შეუდგება ქალაქის გამგეობის წევრის ვალდებულების აღსრულებას.

გადადგომა.

საქალაქო სადეზინფექციო კომერის გამგე ექიმ ტ. გ. ხარაზოვმა ქალაქის გამგეობას თხოვნა მისცა ამ თანამდებობიდან მის განთავისუფლების შესახებ.

სახადთან ბრძოლა.

ამ უკანასკნელ დღეებში სახადით გახდნენ ავათ ქალაქის შემდეგი ექიმები ავათმყოფობის მკურნალობის დროს გადასადებ სენით: საავათმყოფოს ორდინატორი ექიმი ქიქოძე, საქალაქო სამკურნალოს ორდინატორი ექიმი ქალი შენგერი, საბჭოს საუბნო ექიმები შავერდოვი, ტერიეევისა და იერიომინა, ხარფუხის სამკურნალოს ფერშალი კვიჟინაძე და საუბნო ფერშალი რომანენკო.

—

საქალაქო ალექსანდრეს სახელის საავადმყოფო უკვე გაივსო სახადით ავადმყოფებით და ამ საავადმყოფოში, რომელშიაც მოთავსებულია 150 სახადიანი, მეტი ალაგი აღარ არის.

სასწავლებლებში.

საქალაქო ოსების დასაწყისს სასწავლებელში ქართულ ენის მასწავლებლათ მარიამ გოლოვინას მაგივრათ ქალაქის გამგეობამ დანიშნა მ. ა. ბეგიზოვისა.

მე-3 ავლაბრის დასაწყის სასწავლებლის მასწავლებლათ ბუაჩიძე — ასათიანის სიკვდილის გამო ქალაქის გამგეობამ ე. ე. დიდია დანიშნა.

—

მომავალ კვირაში ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტთან ქალაქის გამგეობა აარსებს საქალაქო დასაწყისს სასწავლებლების მასწავლებელთათვის ბუნებისმეტყველების კურსების პირველ სერიას მეორე სერია ამ კურსებისა გაიხსნება შემოდგომაზე. ამ კურსების დაარსების მიზანი არის, დასაწყის სასწავლებლების მასწავლებლების მომზადება, და მიცემა მათდადმი მეტოდიურ ცნობებისა, როგორ უნდა იყოს დასაწყის სასწავლებლებში დაყენებული ამ საგნის სწავლა. ამ კურსებში ლექციების წაკითხვაზე თანახმობა გამოუცხადებიათ პროფ. ბ. ი. მიშჩენკოს, ს. ი. ციტოვიჩს და ტ. ა. მაქსიმოვს. ლექციების მსმენელთა რიცხვი 300-დე იქნება.

პურის სიძვირე.

ამ უკანასკნელ დღეებში პურის ფასმა ძლიერ იმატა და ყოველ დღე პურს უფრო აძვირებენ. ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება სთხოვს საქართველოს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს მიეცეს მას სიმინდის ფქვილი მჭადის გამოსაცხობათ მცხოვრებთა შორის გასანაწილებლათ.

ქალაქთა კავშირში.

საქართველოს ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა მეორე ყრილობამ ორშაბათს დილით მოისმინა კავშირის უმაღლეს კომიტეტის სამეურნეო განყოფილების მუშაობის შესახებ ბ-ონ ფალილეევის მოხსენება და იმავე დღის საღამოს სხდომაზე მოისმინა მ. ი. რუსიას მოხსენება სატეხნიკო განყოფილების მოქმედების შესახებ ამ ნახევარ წლის განმავლობაში მესამე დღეს დილის სხდომა არ იყო და ყრილობის წევრთა დაათვალიერეს კავშირის უმთავრეს გამგეობის მიერ დაარსებული ტყავების ქარხანა, ფეხსაცმელების მასალის დასამზადებელი და შემდეგ დამფუძნებელ კრების სხდომას დაესწრენ. იმავე დღეს საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ს. რობაქიძის მოხსენება უმთავრეს კომიტეტის განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ. ოთხშაბათს და ხუთშაბათ დილით ყრილობის მიერ ამორჩეული კომისიები მუშაობდა ქალაქების საბუჯეტო უფლების შესახებ, და ერობათა კავშირის დაარსების შესახებ მოხსენების განსახილველათ. ოთხშაბათს საღამოთი კი კრება არ შესდგა, რადგანაც ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობის წევრნი მიწვეულ იქმნენ სახელმწიფო თეატრში.

სასურსათო საგჯოს შესახებ

დიდი იმედი იყო სასურსათო საბჭოზე, რომელსაც უნდა ესაზრდოებინა ჯარი, მაგრამ ეს იმედები გაცრუვდა. მესვეურნი სასურსათო საბჭოსი ვერ აღმოჩნდნენ სამშობლოს ნამდვილი ერთგულნი. ისე დღე არ გაივლის, რომ არ ამოიკითხოთ ამა თუ იმ გაზეთებში ესა და ეს საწყობი გაძარცვეს, აქ უყურადღებობა გასწიეს, იქ სრულიად უპატრონობაა დ სხვა... სასურსათო საბჭო გადიქცა სპეკულიანტთა ბანაკად. ისე დღე არ გაივლის, რომ აქ არ ნახოთ ათასგვარი სპეკულიანტი ცხრა მთის იქიდან მოსული სხვა და სხვა კომბინაციებისთვის.

სასურველია გაგება თუ რა დასკვნას დაადგა საკანტროლო განყოფილება თუ მართლა ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი ჯას. საბჭოში როგორც ლაპარაკობენ. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვაჭბატონები, რომლებიც სათავეში უდგანან ამ საქმეს ხვალ უკეთეს ადგილზედ მოიკალათებენ გინდაც სულ გააუქმონ ეს დაწესებულება.

3—ი

საქართველოს ეკლესიისთვის

რუსების დროს, „სინოდალური კანტორა სიონის ტაძარი თვისის სალაროთი“ გახდნენ მოვირისუფალ პატრონებათ და მთელი სიმდიდრე საქართველოს ეკლესიისა აქ ჩამოიტანეს. „სამი გირვანქა მარგალიტი, მარტო დეკ, ბალხაროვმა წაიღო მოსკოვს ევსევის დროს და გააკეთებინა ერთი მიტრაო, დანარჩენი კი რა იქნა არავინ იცის“.

ყველას თვისივე უნდა მიეცეს. ეს ნივთები სადაც კი გამოჩნდებიან და მათი წარწერებით გავიგებთ რასმეს, საჭირო არის მივაქციოთ იქ საიდანაც იქმნენ წამოღებულნი თბილისს სიონის ტაძარში მოიპოვებიან ასეთი ნივთები და აი ერთი მათგანი ამ წარწერით: „უფალმან განაძლიერონ საქართველოს მეფე ირაკლი წილკნის ეკლესიას თორმეტი თუმანი შესწირა და მუხრანის ბატონმა ივანემ და ჯვარის სანთლები გააკეთებინა წილკნელობასა ამბროსისას ქრისტ. ჩღპა (1781 წ.) მისხალი რჲდ (164)“. გირვანქა და 68 მისხალი.

კვირაცხოველის ეკლესიის ბარძიმ-ფეშხუმი არის ნავთლუხის სამხედრო ეკლესიის სალაროში და ჯეროვანი წარწერებიც არის ზედ.

აი ამისი მომხრენი ვართ რომ ეს მოძრავი ქონება მაინც შეინახოს ეკლესიებს და ერთი არა ჰსჩაგრავდეს მეორეს. კვირაცხოვლის ეკლესია სადაც „ფომინოის პერეულოკია“ იქ იყო მეტოქი სამთავრო მთა, ეპისკოპოზისა საყდარი რუსებმა მოსპეს, ხაზინადარმა „სემიონოვმა ძროხების ბინა გააკეთებინა საყდრის ალაგს და ზედ მიწერილი იქმნა ანჩისხატის ტაძარზე, საიდანაც სატაძრო ხატს გასვენებდნენ ხოლმე კვირაცხოველობას ანჩისხატის კრებული და ყოველგვარი შემოსავალი და მიდამო მისი იყო ანჩისხატისა. პავლე ეგზარხოსმა იქ გააკეთებინა აისორების ეკლესია, სადაც რუსული წირვა შემოიღეს. ეს ეკლესია რუსებს ... კალისტრატემ, ეპეკლიმემ, ციცქიშვილმა და კომისიის წევრებმა ბენეშეკიჩს, აცნობეს ეს უსამართლობა რაც ეხლა მაინც უნდა გამოსწორდეს. დანარჩენზე შემდეგ.

დეკ. ვასილ კარბელაშვილი.

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 სამგზავრო ქუთაისამდე.
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 სამგზავრო ბორჯომამდე.
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 საფოსტო ბაქომდე.
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 სამგზავრო განჯამდე:
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსიკენ — ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან — თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან
გამოვა დალის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 ქუთაისიდან:
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან
გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 ბორჯომიდან
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბ ა ქ ო დ ა ნ

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 თბილისიდან
დილის 7 ს. 37 წ.

მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაგიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ელექტრისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსენვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1 7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

ე. ა. მ ო ნ ს ე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, საღსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6 7 ს. ყოველდღე, კკირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13 42.

50—2119—21

ტროფეება წამეგული

(ისტორიული რომანი)

24.

ის იყო წამალი დალია ავადმყოფმა და საუზმე მოსთხოვა ცოლს, რომ ხევიდან აღმოჩნდა ჯგუფი მხედართა და გაემართა სოფლისაკენ. ცოლ-ქმარმა შეხიშნა მგზავრები, მაგრამ მაგდენი ყურადგება არ მიაქცია. ცხენოსნები მიუახლოვდნენ სოფელს; შეუხვიეს პაატაანთ ეზოსაკენ. ცოლ-ქმარი მზერად გორდაიქცა. ნელის ნაბიჯით მიდიოდნენ მგზავრები, დინჯად. ერთი მათგანი დაწინაურებულიყო, სხვები ოდნავ ჩამოშორებულნი მისდევნენ. პატიკოს სახეზედ განცვიფრება აღიბეჭდა.

— ჰარიჯ, ქალო, მეფე მობრძანდება თავის ამალით! წიხ რომ მოდის, აშოტია ის.

— მართლა ქა?! სწორედ მეფეა! წარმოსთქვა ქალმა.

და დაფათურდა: რაღაცა უნდა გაეკეთებინა, რამე ჰსურდა მოეგვარებინა, მაგრამ ამაოდ: ვერას ახერხებდა, უსაგნოდ ტრიალებდა, მიდმოდიოდა; თავსაფარს ისწორებდა ათრთოლებული ხელით, თითონ პაატა კი მარჯვედ დაჰხვდა დიდებულ სტუმრებს: უბრძანა ბიჭს ჭის კარი გაეღო სტუმრებისათვის და წარსდგა მათ წინ. აშოტი ცხენდაცხენ შემობრძანდა ეზოში; მერმე ჩამოხდა, ლაგამი გადაუგო შინაყმას. სხვებიც დაქვეითდენ. ერთ მათგანს უნაგირის ტახტაზედ მოკლული შველი ჰქონდა ჩაკრული.

— ბატონი მეფე ადდეგრძელოს ღმერთმა! ბედნიერი ვარ, ვეღირსე შენს ნახვას ჩემს ჭერქვეშ. მოხვედ მშვიდობით!

— დამხვდი მშვიდობით! სანადიროდ ვიყავი და შამოვიარე: არ შემეძლო არ მენახე ჩემი ერთგული თანამბრძოლი ამაგდარი. როგორ ხარ? ნუ თუ აქამდინ არ მოგირჩა ჭრილობა, რომ ვისიამოვნო შენი ჩემთან ხლებით?!

— ჯერ ვერ განვიკურნე, ბატონო მეფევ, ერთს წამსაც არ დავყოფდი შინ, თუ კი ვიგრძნობდი ძალას შენთან ყოფნისას.

— გეტყობა ავადობა: ფერი დაგკარგვია. მე კი ვეეჭობდი, ვაი თუ ტკბილმა კერამ ხმალი დაავიწყა მეთქი, უბრძანა მეფემ და გაუღიმა.

— ხუმრობასა ბრძანებ, ბატონო! ჩვენისთანა ადამიანისათვის, მოგეხსენება, ხმლის ფხაზედ უტკბესი არ მოიპოვება რა მთელ დუნიაზედ.

სახლის პატრონი და სტუმრები მიუახლოვდნენ აივანს. დიასახლისი არსადა სჩანდა: კარებს უკან მიაბა იგი უძლეველმა რამ ძალამ, თავისით ფეხი ვერ გადმოადგმევინა ზღურბლზედ.

— ქალო, შუქიავ, გამოიხედ! ნახე, რა ბედნიერება გვეწია, ვინ მობრძანდა ჩვენთან!

შუქურს სიამის შუქი ალიონად აჰფენოდა მდიდარ სახეზედ; რომ გადმოდგა კარებიდან ფეხი და ღიმილით მიეგება სტუმრებს, ახლად გახსნილ ვარდის სახედ მოეჩვენათ მათ იგი. განა ფარჩა ამშვენებდა შუქურ ვარსკვლავსა, ან გოპარი პატიოსანი. არა! თითონ ბუნებას დაერხნა იგი ველის ყვავილად, თავდახრილ კდემად, ნაზ შუქთა მფენად.

— მაშინ რომ მომილოცეს გამარჯვება, ხალხს შენ წამოეყვანე, ქალო, თვის მეთაურად. ღირსეულად აერჩიენე ერს: ის გამარჯვება ნახევრად შენს ქმარს ეკუთვნოდა, ამ ჩემს ერთგულ მეგობარს. იქნება არც კი გიამბო, რომ სიკვდილს გადამარჩინა: თეის ქველობაზედ ეს იშვიათად დასძრავს ენას.

— მითხრა, მიამბო. მაგრამ, ბატონო, განა საიშვიათო ღვაწლი იყო ის შენთვის ღირს-სახსოვარი?! შენთვის ხომ ყველა თავს დასდებს, ჩვენო მეფევ მხსნელო! მიუგო ქალმა აღტაცებით.

და შინ შეიწვია მეფეც, მისი მხლებელნიც. ქმარს მოეწონა შუქურის ხიტყვა და ალერსით გადაავლო თვალი მის სახეს. სხვებმაც დაუმადლეს მას თქმა ჭკვიანი. საუბრიდან გამოირკვა, რომ მეფეს მოენადირნა მახლობელი არე, მერე დაენაწილებინა თავისი ხალხი და სხვა და სხვა გზით გაეგზავნა ალგეთისაკენ. თითო მარტო წამოსულიყო მცირე ამალით. აპირებდა დაღამებისას გზასვე გასდგომოდა. მარდათ მოამზადეს სადილი. შველიც ააფეშხოვეს, მეფის ნანადირევი. დაფიქრებული სჩანდა აშოტი. ხანდისხან რინდდებოდა, არას ამბობდა, თითქო ვეღარც სხვის ნათქვამი ესმოდა. მასპინძელმა შენიშნა ეს და შეწუხდა: შეეფიქრა, ჩვენ ხომ არა ვართ უნებლიეთი მიზეზი ბატონის შეპირვებისაო. სადილი უკვე თავდებოდა, როცა მეფემ მიჰმართა პაატას:

— მწყინს, ჯერეთ ჯანსაღად არ ხარ, არ შეგიძლიან ჩემთან წამოსვლა: თითო შენისთანა ერთგული თითო რაზმად მიღირს ეხლა.

— მე ვინ ვარ, მაგას მიბრძანებ?! მეც გულს მაკლია, თან ვერ გახლავარ ნადირობის ჟამს, თუმცა ომში უფრო გამეხარდებოდა შენს გვერდზედ ყოფნა. ბრძოლის ველზედ იყო ჩემი ლხენა, კერას მიმჯაჭვა ამ ავადობამ.

— ვიცი, ომი შენი აღვსებაა და მისთვის გეტყვი: ეს ნადირობა მხოლოდ მოგონილია. სხვა და სხვა ბილიკებით ლაშქარი მიეშურება მტკვრის ველისაკენ; მეც მთა-მთა წავალ ამალამ იქით.

— უგრძნობლად აპირებ თავდასხმას აგარიანებზედ?

— ნამდვილ! დაიემინეს ეხლა სარკინოზთ. გაიგეს, აშოტი სანადიროდ წავიდა, თვით აფხაზეთის სამზღვრებამდის აპირობსო სვლას და დაწყნარდნენ. ეხლა მთელი მათი ურდოები მტკვრის პირს არიან ჩასულნი საზამთროდ, გაშლილა სდგანან, ხალვათად. მსწრაფლ ჩამოვუქროლებ მათ ბანაკებს, მიწასთან გავასწორებ. სანამ თავს მოეგებიან და ჯარს დასძრავენ, ჩვენ ისევ აქ ვიქნებით სამშვიდობოში.

— ვაი თუ გიგრძნონ, ბატონო, და მზირად ჩაგისხდნენ, გზები მოგიჭრან.

— არა! არავინ იცის ეს ჩემი განზრახვა გარდა უფროს სარდლებისა. ნამდვილ ვიცი, სარკინოზნი უზრუნველად სდგანან, ზაფხულისათვის აპირობენ დიდ ლაშქრობას. ეხლა, პაატ ჩემო, შენ გეტყვი ამას, რადგან ამიერიდან ერთ უფროს სარდალთაგანი ხარ ჩემის ლაშქრისა, გიბრძანებ ამას! აწ შენგან აღარ უნდა იყოს დაფარული არც ერთი სამხედრო დაწყებილება.

გამხიარულებულმა პაატამ მადლობა მოახსენა მეფეს წყალობისათვის. მახლობლებმა უნებურად შეხედეს შუქურს, რომელიც იქ იყო, როცა მეფემ სთქვა სამხედრო საიდუმლო. აშოტი მიხვდა მათ ჰაზრს და განაგრძო:

— ეს ჩვენი დიასახლისი ჩვენზედ მეტად არის განმსჭვალული გამარჯვების სურვილით და ცოდვა იქმნება მისგან დავფაროთ ჩვენი განზრახვა.

— ღირსეული მეუღლე ღირსეულის მამულიშვილისა! დასძინა როსტომმა.

უფრო აღელდა პაატა მეფის ამგვარ თქმაზე. კვლავ მადლი გარდაუხადა. მხოლოდ იმის სინანულში იყო, რომ არ შეეძლო იმ წამს ჰხლებოდა მას, სათავეში ჩასდგომოდა თავის ჯარს და გამარჯვებისაკენ წარემართნა მისი სვლა. შუქურის სახეზედ აღტაცება არ მოშლილიყო მას აქეთ, რაც აშოტი შეჰფარებოდა მათ ჭერს. ეხლა იგი აღტეცება უსიტყვო ღაღადებად გარდაქმნა, უხმო თაყვანისცემად უებრო ვაჟკაცისადმი და ეს ლოცვა გამოკრთოდა სასოებით აბყრობილ მის თვალებში, ისახებოდა მის ღაწვებზე ანთებულ სიხარულის ალში, იმ უნებლიეთ ღიმილში, რომელიც ოდნავ აპობდა მარჯნის ტუჩ-ბაგეს, ტურფად განიზიდებოდა ორსავე მხარეს და სხივად ჩაეშვებოდა ნექტართა ლამაზ საგუბრებში, ქალს რომ ულრმავდებოდა ორივ ლოყაზედ.

— იმ ნექტართა საგუბრების დაწაფება სიცოცხლეს შესძენს ადამიანს და პატიკოს რა დაჰმართნია, ვერ ამოუწოვნია იქიდან სიმრთელის ძალა?!

— აი მეუღლე! ამისთანა ცოლის მყოლ ვაჟკაცს თმა არ გაუთეთრდება, გაიფიქრა აშოტმა

და მიჰმართა პაატას:

— ეხლა ვერ წაგიყვან თან, მეორედ გალაშქრებაზედ კი ისე ფეხსაც არ გავსდგავ, თუ შენ არ მეყოლები იქ. მოწამლული ყოფილა შუბის წვერი, რომ აქამდისინ გამოგყვა ნაკვეთის ნალი.

— სწორედ მოწამლული ყოფილა, რომ ჩემი აგებულობა მაგარი და შენის ექიმის უებარი წამლობა ჯერაც ვერ დაჰრევიან ჭრილობას.

ეხლა იმედია, მეფის წყალობა და მადლიანი თქმა ერთი-ათად აქცევს შენს ღონეს თუ გამძლეობას, დასძინა ელისბარმა.

— ექიმი ძალიან მაიმედებს. ეს თქვენი მხევალიც ხელს მიწყობს და უკლებლივ ასრულებს მკურნალის დავალებას.

მხევალი შუქური კი მეშვიდე ცამდის იყო აღტაცებული მეფე ვაჟკაცის ესეთი მზრუნველობით, მისი გულკეთილობით, მისგან მათდამი მიმართულ სათნო სურვილებით. ვერ გაეგო, როგორ თავდებოდნენ აშოტ მეფეში ბუმბერაზული შემმართებლობა, გაუტეხელი ერი ვაჟკაცისა, მტერთა მმუსავი ძალა მძვინვარე და ლბილი სათნოება, ნაზი გულჩვილობა, სუნნელოვანი გრძნობა კეთილმყოფელი.

— ბედნიერია ამისი მეუღლე: დედოფალი განდიდებული, თანამემცხედრე გულნათელ ქმრისა, ცხოვრების თანამგზავრი ყოვლად სრულ ბუმბერაზისა! შეჰნატრა ქალმა შორმყოფ გურანდუხტს.

და შენატვრაზედ ვნების რამ სითბომ დაუარა ტანში, გაალვია ის, გაალანა ვითა ყვავილი სხივთა ალერსმა. არ იცოდა გულკეთილმა, რა იშვიათად ივანეს სახლში ქმაყოფილება, რომ წყნარის შუქით ააციაგოს წმიდა კერაი და სიამის ღიმი ჰფინოს თუნდ საწყალ ოჯახს.

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება).